საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 3 აპრილი, 2015 წელი.

№62 (7707)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ლარის გამყარება რამდენიმე წუთშია შესაძლებელი, მაგრამ ამას სისტემური ცვლილებები სჭირდება

4

მონეტარული პოლიტიკა იმიტომ არსებობს, რომ ეს კურსი გააკონტროლოს და თუ ასე არ ხდება, მაშ, რაში გვჭირდება ეროვნული ბანკი?

რა კავშირშია ბლუმბერგის სისტემა ვალუტის გაუფასურებასთან?

რამაზ საყვარელიძე: არ მგონია, დღეს ღარიბაშვილის ფიგურაზე „კბილის დასობა“ მიზანშეწონილი იყოს

5

რუსეთ-საქართველოს საზღვარი უკვე ეგზურზე გადის

3

რა ხდება ამ დროს ბრიუსელში?

ენას, რომლის მივიწყებასაც ცდილობდნენ, იუნესკოს ნომინაციაზე წარადგენენ

6

ლევან მამალაძის საგანგებო განცხადება

„საკაშვილმა კიევიდან ჩემი მოკვლაც დაგეგმა“

2

ნაცები მოქალაქეთა ყურზე მუშაობენ!

2

თურქეთის კლინიკა სრულიად გაოგნდა, როდესაც გაიგო, რომ ეს ბავშვი ჩვეულებრივი მოქალაქეა

3

სისტემა ამუშავდა!

„აფერუმ იმ ოჯახებს, რომელთაც ეს ბიჭები დაზარდეს!“

10

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია 6 აპრილიდან ახალ მისამართზე განაგრძობს მუშაობას - მაჩაბლის ქ. №7, (სოლოლაკი, მაჩაბლისა და ლერმონტოვის ქუჩების გადაკვეთაზე).

ტელ: 2 93-37-87; 5 99 79-76-79; 5 68 82-09-84.

◎ ინფორმაცია

საქართველო არასდროს დაივიწყებს იმ გმირებს, რომლებმაც სიცოცხლე გაწირეს სამშობლოსთვის

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განაცხადა, სადაც აგვისტოს ომის დროს დაღუპული 42 სამხედროს ცხედრების ფრაგმენტების დაკრძალვას დაესწრო.

როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, მომავალი თაობები მათი გმირობის მაგალითით გაიზრდება.

„დღეს კიდევ ერთი დღეა, როდესაც ჩვენ ვგლოვობთ ჩვენ ჯარისკაცებს, ჩვენ გმირებს, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს. ჩვენ ვგლოვობთ და ამავე დროს მომავალ თაობებს მათი ნათელი სახელით, მათი გმირობის მაგალითით ვზრდით. საქართველო არასდროს დაივიწყებს საკუთარ გმირებს“, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე აგვისტოს ომის დროს დაღუპული 42 ქართველი სამხედროს ცხედრის ფრაგმენტები გუშინ დაკრძალეს. სხეულის ფრაგმენტები გასული წლების განმავლობაში, იდენტიფიცირების მიზნით, დნმ-ის ანალიზისთვის ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროში ინახებოდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, მათი იდენტიფიცირება რამდენიმე თვის წინ დასრულდა და ფრაგმენტები შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ გუშინ დაიკრძალა.

დაკრძალვას თავდაცვის სამინიტროსა და გენშტაბის წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

ყველას შესატყვისი პასუხი გაეცემა და სამართლის წინაშე აგებენ პასუხს

ამის შესახებ ყოფილმა პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა ბიზნესმენ ბესო ხარძიანის ოჯახისთვის მისამძირების შემდეგ განაცხადა.

„მინდა, გარდაცვლილის ოჯახს სამძიმარი და თანადგომა გამოვუცხადო. აქვე მინდა, აღვნიშნო, რომ ეს არ გახლავთ მხოლოდ ერთი ოჯახის ტრაგედია. მოკლე დროში უკვე მეორე შემთხვევაა, როდესაც პრინციპულ ადამიანებს, ვინც სამართლიანობისთვის ბრძოლას თავს არ ანებებს, სწორედ რომ ტერორით უმკლავდებიან ჩვენს ქვეყანაში და ცდილობენ, ამით შეგვახსენონ წარსული დრო, საზოგადოებაში შიში და შფოთვა გამოიწვიონ. ვარწმუნებ იმ არაადამიანებს, რომლებსაც ეს თავში მოუვიდათ, რომ მსგავსი რამ ჩვენს საზოგადოებაში ფეხს ვერ მოიკიდებს. ყველას პასუხი გაეცემა შესატყვისი და სამართლის წინაშე აგებენ პასუხს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

◎ ლევან მამალაძის საგანგებო განცხადება

„სააკაშვილმა კიევიდან ჩემი მოკვლაც დაგეგმა“

ძვემო ქართლის ყოფილი რწმუნებული ლევან მამალაძე, რომელიც დღეს ემიგრაციაში იმყოფება, საგანგებო განცხადებას ავრცელებს. აღნიშნული განცხადება მამალაძემ „რეპორტიორს“ მიაწოდა:

„სააკაშვილმა კიევიდან ჩემი მოკვლა დაგეგმა, სააკაშვილს ჩემი განადგურება თავიდანვე უნდოდა. როცა შევარდნაძის მთავრობის წევრები მასთან გარიგებას ცდილობდნენ, მიშა კორუფციაში და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში ვამხილე. დუუმორეული მიშა სამჯერ გამექცა პირდაპირი ეთერიდან.

2003 წელს ხელისუფლების ხელში ჩაგდების დღიდან, მიშას ჩემი განადგურების დიდი შანსი მიეცა. ბინძური პიარი ამიგორა ხალხის განწყობის შესაქმნელად და სამართალდამცავებს დაავალა ჩემი შეპყრობა.

2004 წლის იანვარში, მაშინდელმა შს მინისტრმა გია ბარამიძემ პირდაპირ მითხრა — „არ ჩამოხვიდე, მიშას შენი მოკვლა უნდაო“.

ახლა სააკაშვილი უკრაინის პრეზიდენტ პოროშენკოსთან აფარებს თავს და იარაღით ვაჭრობაში დიდ ფულს შოულობს, ხოლო თავისი ზონდერების ქილერებად გაწვრთნა უკრაინის ომში მას არ გაუჭირდება.

მიშამ საქართველოში აქციებით სიტუაცია ვერ ააგორა, შეკვეთილი მკვლელობებით კი მოიშორეს იური ვაზაგაშვილი და ბესიკ ხარძიანი.

ბოლო პერიოდში პროკურატურის სისტემა ინტენსიურად თავისუფლდება სააკაშვილის რეჟიმის დანაშაულებათა „გამპრავებლებისაგან“. ჩემს სამშობლოში სამართლებრივი გზით დაბრუნება რეალური გახდა. მიშამ კარგად იცის, საქართველოში ჩემი დაბრუნება და მისი გასამართლება ერთი იქნება.

სააკაშვილისეულ მოსაშორებელთა სიაში ჩემი არსებობა გასაკვირი ნამდვილად არ არის. კიევში მისი გარემოცვიდან დაზუსტებული ინფორმაცია მაქვს და უკრაინული პრესაც პირდაპირ წერს, რომ სააკაშვილი ჩემს მოკვლას გეგმავს. ასევე ემზარ კვიციანის, რომელმაც ბევრი იცის მიშას ბინძური გარიგების შესახებ რუსებთან, რის შედეგადაც დაიკარგა აფხაზეთი და უბრძოლველად ჩაბარდა კოდორი. უკრაინაში სააკაშვილთან დაახლოებული პირები იმასაც მეუბნებიან, რომ მიშა ქილერის შერჩევის პროცესშია. პრობლემა ჩემი ადგილსამყოფელის დადგენა ყოფილა. სერიული მკვლელობები საზოგადოებაში პანიკას და ხელისუფლების დაბნეულობას იწვევს, ამის მიღწევას ცდილობს მიშა. სააკაშვილს ერთი მიზანი აქვს, მოკლას და გაანადგუროს მოწინააღმდეგეები, საქართველო კი სულაც დაშლილიყოს, მთავარია, რევანშით დაიბრუნოს სავარძელი.

მე მოვუწოდებ დღევანდელ ხელისუფლებას — არ შეუშინდეს დაგეგმილ პროვოკაციებს, დროულად გაწმინდოს სამართალდამცავი სტრუქტურები ჩასაფრებული მიშისტებისგან, რაც სერიულ მკვლელთა დადგენას დააჩქარებს. თუ რეალურად გინდათ სააკაშვილის გასამართლება, საქართველოს მთავარ პროკურატურას ყველანაირი სამართლებრივი საფუძველი აქვს სამშობლოში ჩემს დასაბრუნებლად“, — ნათქვამია ლევან მამალაძის განცხადებაში.

◎ გულწრფელი რეკომენდაცია

ნაცები მოქალაქეთა ყურზე მუშაობენ!

ლაშა ამირეჯიბი შეკვეთილი მკვლელობების სერიალს აფასებს და პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გარკვეულ რეკომენდაციას აძლევს.

დღეს ამ „რეკომენდაციას“ მკითხველს ვთავაზობთ:

„ბ-ნო პრემიერო!! ამ საზარელი შეკვეთილი მკვლელობების გამოძიება სასწრაფოდ და ამავე დროს, საჭიროდ მიმაჩნია. ახლავე მოგახსენებთ რატომაც.

ჯონი გიგანის წერილი წავიკითხე და დავრწმუნდი, რომ ჩვენი ე.წ. პროკურატურა, გარდა იმისა, რომ არაფრის მაქნისია, როგორც ჩანს, გარკვეული უჩინარი ძალების კონტროლს ექვემდებარება. გ. ბადაშვილის უწყებას არ აძლევენ მუშაობისა და გამოძიების საშუალებას. ჯ.გიგანის მიმართვას პროკურატურამ რატომღაც წაუყრუა... ნეტა რატომ?

მგონი თქვენთვის ნათელია, რომ ნაცები და მათი დასავლელი პატრონები, უფრო სწორად, დასავლელი სპეცსამსახურები, ქვეყანაში ღარის გაუფასურებას თქვენ გაბრალებენ .

არადა, მსოფლიოში დოლარის გამყარების ხარჯზე რეგიონში ყველა ფულის ერთეულმა დევალვაცია განიცადა... ე.წ. დევალვაციას და ღარის გაუფასურებას თან სდევს შეკვეთილი მკვლელობები, პატარ-პატარა, „მკრთალი“ აქციები: 21 მარტის ჩავარდნილი აქცია, თქვენი და თქვენი თანამოაზრეების შეურაცხყოფა, ლანძღვა-გინება და სხვა „სიკეთეები“, რაც გარკვეულწილად მოქმედებს საზოგადოებაზე...

მარტივად, რომ მოგახსენოთ ნაცებს და მათ პატრონებს სურთ თქვენი საბოლოოდ „გაშიშვლება“ და შემდეგ განეიტრალება იმ ნარჩენების ხელით, რომლებითაც თქვენ გარშემორტყმული ბრძანდებით.

ყველაზე მთავარი კი ის გახლავთ, რომ საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გაჩნდა მოსაზრება, თითქოს შემკვეთები და შემსრულებლებიც თქვენი ორბიტის მიდამოებში ბრუნავენ და გარკვეული, მაგრამ ჩვენთვის უცნობი ჯგუფი მართავს მათ!..

ადამიანის ყური ეჩვევა ჭორებს და შესაძლოა, მართლაც დაიჯეროს საზოგადოებამ ეს მითქმა-მოთქმა. რადგან ყურს შევეხე, მაგალითს მოგიყვანთ: გაიხსენეთ ბ-ნი ბიძინას წინასაარჩევნო განცხადებები — ყურმა ახალი ამბავი შეიტყო, ყურს ესიამოვნა, ყურმა გაიგო ის, რაც არ სმენია უკანასკნელი 25 წელი, ყურმა დაიჯერა და საარჩევნო ყუთთანაც ყურმა მიიყვანა მოქალაქე!!

ასე მარტივად იმიტომ „გიხსნით“, რომ მინდა ყურის ფუნქცია და როლი კარგად გაითავისოთ!..

მიუხედავად IRI-ს გატეხილი სახელისა, ხალხი ყურს მაინც უგდებს მის გაუმართავ კვლევებს.

მინდა, გაგახსენოთ ერთი ქართული ანდაზა: შეძახილმა ხე გაახმოო... აქაც ყურია მთავარი ორგანო! ხალხი ყურს უგდებს ჭორებსა და მითქმა-მოთქმას...

ამიტომ, უმორჩილესად გთხოვთ, ნუ დაიშურებთ ძალ-ღონეს, გამოიყენეთ თუ კიდევ რაიმე რესურსი გაბადიათ და გამოიძიეთ ეს კარგად ორგანიზებული შეკვეთილი მკვლელობები. იცოდეთ, არგამოძიების ან „ვერგამოძიების“ შემთხვევაში... თითს თქვენსკენ გამოიშვერენ არა მარტო თქვენი მტრები, არამედ მოყვარეებიც, რომლებიც დღეს თქვენს მზეს იფიცებენ და თქვენს ავტორიტეტს არიან ამოფარებულნი...

თითის გამოშვერა და თითის ქნევა კი არ გაკლიათ თქვენ, ბ-ნო პრემიერო!! ნაცები მოქალაქეების ყურზე მუშაობენ, რაც თქვენთვის წამგებიანია!“

◎ თანამშრომლობა

სამმხრივი თავდაცვის მინისტერიალი თბილისში

სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ სამმხრივი თავდაცვის მინისტერიალი მიმდინარეობს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის თავდაცვის უწყებების ხელმძღვანელმა რიგით მეორე შეხვედრა რეგიონული უსაფრთხოების საკითხების მიმოხილვით დაიწყეს. სამმხრივი თანამშრომლობა რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებისაკენ იქნება მიმართული. მი-

ნისტერიალის ფარგლებში მინდია ჯანელიძე, იშმედ ილმაზი და გენერალ-პოლკოვნიკი ზააკირ ჰასანოვი თავდაცვის სფეროში სამმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივებს განიხილავენ. განსაკუთრებული ყურადღება განათლების სფეროში თანამშრომლობის განვითარების საკითხებს დაეთმობა. მინდია ჯანელიძემ კოლეგებს საჩხერის სამთო მომზადების სკოლაში ქართველი, თურქი და აზერბაიჯანელი სამხედროებით დაკომპლექტებული ზაფხულის სამთო მომზადების კურსის ჩატარება შესთავაზა.

◎ სასამართლო

ბაჩო ახალაიას ე.წ. ჯაშუშების საქმეზე სასამართლომ პატიმრობა გაუუქმა

თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიას, ე.წ. ჯაშუშების საქმეზე სასამართლომ პატიმრობა გააუქმა. ამის შესახებ ბაჩო ახალაიას ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა განაცხადა.

„ბაჩო ახალაიას ამ საქმეზე პატიმრობის 9-თვიანი ვადა იწურებოდა 5 აპრილს, რის გამოც, სასამართლომ ახალაიას პატიმრობა გააუქმა. როგორც ყველა საქმეში, აქაც უსაფუძვლოდ იყო პატიმრობა შეფარდებული და მიზნად ისახავდა მის 9 თვით ციხეში გამოკეტვას“, — განაცხადა ველიჯანაშვილმა.

მიუხედავად მოსამართლის ამ გადაწყვეტილებისა, ახალაია სასჯელაღსრულების დაწესებულებას ვერ დატოვებს, რადგან მას პატიმრობა სხვა საქმეებზეც აქვს მისჯილი.

ინტერპრესი

რუსეთ-საქართველოს საზღვარი უკვე ენგურზე გადის

გუშინ ოფიციალურად გაიხსნა მიმოსვლა აფხაზეთსა და რუსეთს შორის. საზღვარი ფსოუზე, რომელიც აქამდე ფორმალურად მაინც არსებობდა, მოიხსნა. ყველანაირი ბლოკპოსტი თუ მაკონტროლებელი ბარიერი, რომელიც სეპარატისტებს ჰქონდათ, აღებულია. ამ ფაქტს ეხმაურება „ეროვნული დემოკრატების“ თავმჯდომარე პაატა დავითაია და ამბობს: „რუსეთის ფედერაციამ ფაქტობრივად სახელმწიფო საზღვარი შეცვალა და ფსოუზე ე.წ. საზღვარი მოხსნა. ეს ყველანაირ შეთანხმებას არღვევს, რაც კი საერთაშორისო მასშტაბით არსებობს. ამით დაირღვა ის შეთანხმებაც, რომლის მიხედვითაც ე. წ. საზღვარზე შვეიცარიელი მესაზღვრეები უნდა განლაგებულიყვნენ. ეს საზღვარი მოისპო და საზღვარი დღეს უკვე ენგურზე გადის“.

ეს მოხდა ბრიუსელში გამართული შეხვედრის პარალელურად, სადაც რიგით მესამე შეხვედრაზე ევროკავშირთან სტრატეგიული დიალოგი გაიმართა. თუმცა, ზემოთ მოყვანილ ფაქტზე კომენტარები ევროპაში არ გაკეთებულა. ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკური პარტიები კი მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ამ სიტუაციას სირაქლემის პოზით ხვდება. იმის მაგივრად, რომ აჟიოტაჟი ატეხოს და საერთაშორისო საზოგადოება საქმის კურსში ჩააყენოს, დუმს. პარლამენტში კი მუდმივ დაპირისპირებაში მყოფ დეპუტატებს, რეზოლუციის მიღება ეზარებათ.

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმაც საქართველოს პარლამენტს მკაფიოდ მოსთხოვა „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში“ ცვლილებების შეტანა. ისიც, ბრიუსელში გამართულ შეხვედრებს ესწრებოდა. ზაქარეიშვილი ამბობს, რომ **„ევროკავშირი ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ მოითხოვს, ბოლოს და ბოლოს, ცვლილებები შევიტანოთ „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში“. არსებობს ჭორები, რაღაც მოსაზრებები, თითქოს ეს რუსეთის ინტერესებშია, მაგრამ ასე არ არის. ეს სწორედ ევროკავშირის მოთხოვნაა. საუბარი იყო იმაზე, თუ რა უშლის ხელს კანონში ცვლილებას, რომელიც 2 წლის წინათ ჩემი სამინისტროს მიერ იყო ინიცირებული. იქნებ ბრიუსელიდან მაინც გაიგოს პარლამენტმა, რომ საჭიროა ცვლილებების დროული განხორციელება“,** — დასძინა მან.

ბრიუსელში მოლაპარაკება დახურულ კარს მიღმა 5 საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, სადაც მხარეებმა განიხილეს რეგიონში უსაფრთხოების საკითხები, ასოციირების შეთანხმების იმპლემენტაცია, ჟენევის მოლაპარაკების გააქტიურება და სხვა. საუბარი შეეხო საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობასაც. ბრიუსელში გამართულ შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრი თამარ ბერუჩაშვილი ხელმძღვანელობდა.

რა ხდება ამ დროს ბრიუსელში?

რამდენად და როგორ შეეხება ევროკავშირთან ასოციირების ხელშეკრულება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას, და შეუძლია თუ არა მათთვის სარგებლის მოტანა? ამ კითხვას საგარეო საქმეთა მინისტრი ასე უპასუხებს: **„ქართულმა მხარემ განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი ევროკავშირის ასოციირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სარგებლის გაზიარების შესაძლებლობას ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისთვის. ამ მიმართულებით ჩვენ სრული მხარდაჭერა მივიღეთ“,** — აღნიშნა თამარ ბერუჩაშვილმა.

ბრიუსელში იმყოფება რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერის სპეციალური წარმომადგენელი ზურაბ აბაშიძე, რომელსაც განცხადების გაკეთება მოუწია პრეზიდენტ მარგველაშვილის კრიტიკაზე. როგორც იცით, გიორგი მარგველაშვილმა 31 მარტს პარლამენტში ყოველწლიური მოხსენების დროს აღნიშნა, რომ პრემიერის წარმომადგენლის მანდატი ზუსტად განსაზღვრული არ არის. მან სურვილი გამოთქვა, რომ ზურაბ აბაშიძის საქმიანობის სრული ინტეგრაცია მოხდეს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. **„ამ ფორმატში დაარსების დღიდან მონაწილეობს მასში საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი. შესაბამისი ინფორმაცია ეგზავნება ყველა უწყებას, რომელსაც ქართულ-რუსულ პრობლემატიკასთან რაღაც შეხება აქვს. თუ კიდევ იქნება რაღაც წინადადება, ან იდეა იმისთვის, თუ როგორ უნდა გაუმჯობესდეს ზოგადად ეს მუშაობა, ყურადღებით მოვისმენდით“,** — განაცხადა ზურაბ აბაშიძემ.

კარასინი-აბაშიძის ფორმატს პრემიერ-მინისტრიც გამოეხმაურა. ის ამბობს, რომ ზურაბ აბაშიძემ ძალიან ეფექტიანი და ნაყოფიერი საქმიანობა გასწია, რისთვისაც მას მადლობა უნდა გადავუხადოთ. ზურაბ აბაშიძეს წინ მოლაპარაკების კიდევ უფრო მძიმე რაუნდი ელოდება, სადაც, რუსეთის ქმედებებზე იგორ კარასინს შეფასების გაკეთება მოუწევს. იმ ფონზე, როცა რუსეთი არც ერთ საერთაშორისო ნორმას არ ეთანხმება და არანაირ ხელშეკრულებას არ ცნობს, საუბარი უდავოდ რთული იქნება...

გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სოჭში მცხოვრები ქართველი ეკატერინე ხარებავა რუსეთის ფედერაციამ „სახელმწიფო საიდუმლოს გახმაურების“ ბრალდებით 2013 წელს დააკავა. კრასნოდარის მხარის სასამართლომ ხარებავას განაჩენი გამოუტანა და 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უზენაესმა სასამართლომ კი გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ინფორმაციას რუსული პრესა ახმიანებს. „ნოვაია გაზეტას“ ინფორმაციით, ქალბატონი 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მომხდარი ფაქტის გამო დააკავეს. **„ეკატერინე ხარებავამ, რომელიც სოჭის ბაზარში ვაჭრობდა, აგვისტოს ომამდე რამდენიმე დღით ადრე შენიშნა, თუ როგორ გადაადგილდებოდა საქართველოს მიმართულებით რუსული სამხედრო ტექნიკა. მან ამის შესახებ თბილისში მცხოვრებ მეგობარს შეატყობინა. ხუთი წლის შემდეგ სოჭის „ეფ-ეს-ბემ“ ხარებავას წინააღმდეგ საქმე „სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურების“ ბრალდებით აღძრა. ეკატერინე ხარებავა კიდევ 4 წელს კოლონიაში გაატარებს“.**

ასეთი დაძაბული ურთიერთობის ფონზე, იმით აპელირება, რომ რუსეთთან დიალოგს აზრი არა აქვს, ყველაზე მარტივი გზაა, რომელიც იმთავითვე უშედეგობისთვის არის განწირული. მაგრამ რა შედეგს გამოიღებს რუსეთთან დიალოგი, ეს კიდევ უფრო დიდი თავსატეხია... თუმცა, როგორც ვიცით, იმედი ყველაზე ბოლოს კვდება!

თეა მოსია

◎ „უნიათოების“ კარგი საქმე

თურქეთის კლინიკა სრულიად გაოგნდა, როდესაც გაიგო, რომ ეს ბავშვი ჩვეულებრივი მოქალაქეა

ახალ ხელისუფლებას პიარის კუთხით რომ უდავოდ ნაკლი აქვს, ეს ქვემოთ მოყვანილი ფაქტითაც დასტურდება. 7 წლის ბუკა ნიკურაძის სიცოცხლის გადასარჩენად ახლა თურქი ექიმები იბრძვიან, მაგრამ რომ არა სოლიდარობის ფონდი და პრემიერის ძალისხმევა, ვინ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებოდა...

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის ნინო კობახიძის სოციალური ქსელით გავრცელებული ინფორმაციით, ბუკა ნიკურაძის სტამბოლში გადაყვანის პროცესი გუშინ გვიან ღამემდე მიმდინარეობდა:

„უნდა დავწერო, იშვიათად ვწერ ასეთ ამბებს, მაგრამ უნდა მოვყვე. გუშინ გვიან ღამემდე ბუკა ნიკურაძის სტამბოლში გადაყვანის პროცესი მიდიოდა (ერთი რეანომობილი გაბრუნდა უკან, გაუმართაობის გამო ვერ დაფრინდა, მეორე ჩამოფრინდა). სრულიად სამთავრობო ჯგუფები მობილიზებული იყვნენ, თუ კატასტროფის ბრიგადების საჭიროებისათვის და თუ აეროპორტში საჭირო დახმარებისათვის.

ფონდის გოგონები წუთში ერთხელ ურეკავდნენ თურქეთის კლინიკას, რომ იქ ყველაფერი გამზადებული დახვედროდათ... თურქეთის კლინიკა სრულიად გაოგნდა, როდესაც გაიგო, რომ ეს ბავშვი ჩვეულებრივი მოქალაქეა, რომელსაც პრემიერის სოლიდარობის ფონდი ყველაფერს გაუკეთებს იქამდე, სანამ არ გამოჯანმრთელდება (დიდი ხანი კითხულობდნენ, ვინ არის ეს ბავშვი, ვინმეს შვილია და ა.შ) გაოცდნენ, როდესაც გაიგეს, რომ ყველა ასეთი საჭიროების 22 წლამდე ასაკის ბავშვს ზუსტად ანალოგიურად მოექცევა და ბოლომდე მიხედავს ფონდი. მადლობა თითოეულ ადამიანს, ვინც რიცხავს ფულს ამ ფონდში“, — წერს კობახიძე.



7 წლის ბუკა ნიკურაძეს ლეიკემია აღმოაჩნდა. სოლიდარობის ფონდმა მისი მკურნალობა 53 000 აშშ დოლარით დააფინანსა.

ბუკა ნიკურაძე დღეს დილით სპეციალური რეისით (საჰაერო რეანომობილით — air ambulance) ბავშვი დედასთან ერთად ჩაფრინდა თურქეთში და ლივ ჰოსპიტალის (Liv Hospital) ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში იტარებს მკურნალობას.

დედასთან სატელეფონო საუბრით გახდა ცნობილი, რომ მიმდინარეობს დამატებითი დიაგნოსტიკური პროცედურები და სათანადო მკურნალობის ტაქტიკის შერჩევა.

ამ ეტაპზე ბავშვის მკურნალობა თურქეთში სრულად არის დაფინანსებული და თუკი დადგება დამატებითი დაფინანსების საჭიროება, ოჯახი სოლიდარობის ფონდს ისევ დაუკავშირდება.

გუშინწინ საღამოს 7 საათიდან დილის 3 საათამდე ბუკას სპეციალური რეისით სასწრაფო გადაყვანის ორგანიზებაში უამრავმა ადამიანმა ფასდაუდებელი შრომა გასწია.

თავდაპირველად ბუკას გადაყვანა საღამოს 8 საათზე იგეგმებოდა, მაგრამ თურქეთის მხრიდან შექმნილი შეფერხების გამო სასწრაფოდ მოხდა მეორე საჰაერო რეანომობილის გამოძახება, რომელიც თბილისის აეროპორტში 1:15 საათზე დაეშვა. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ბუკა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადისა და იაშვილის კლინიკის ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა.

სოლიდარობის ფონდმა ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ნათქვამია: **„საჯარო და კერძო სექტორის ერთობლივი დახმარებით არამხოლოდ ბუკას დაფინანსება შევძელით, არამედ ბავშვის გადასარჩენად ყველანი ვიდექით ერთად — ბავშვის ოჯახი, ექიმები, თბილისის აეროპორტების გაერთიანება, აეროპორტის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა შესაბამისი უწყება, საგარეო საქმეთა სამინისტრო და თურქეთში ჩვენი დიპლომატიური მისია...**

თურქეთის მხარემ როდესაც შეიტყო, რომ ბუკას, ისევე როგორც ყველა სიმსივნით დაავადებულ ბავშვს, ფონდი ხალხის მხარდაჭერით ეხმარება, გაოცებული დარჩნენ და თავის მხრიდან სამომავლო თანამშრომლობა და თანადგომა შემოგვთავაზეს.

ნამდვილად გვეამაყება, რომ ათი ათასობით ადამიანისა და 17 კომპანიის თანადგომით სოლიდარობის ფონდს შეუძლია ონკოლოგიის პრობლემის მქონე თითოეული ბავშვისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დახმარების გაწევა“.

მსგავს ინფორმაციებს „იშვიათად დაწერა“ კი არა, ძალიან ხშირად დაწერა უნდა... სხვანაირად, დუმილით, ხომ ხედავთ, „უნიათო“ ხელისუფლების სახელი დაგერძვათ!!!

ნია ფიფია

◎ დარგი

პრობლემები ქართული ღვინის ბაზარზე

საქართველოში ყველაზე კარგ მდგომარეობაში ღვინის ბიზნესია – ამის შესახებ როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები, თავად მეღვინეებიც აცხადებენ. თუმცა, ღვინის ბაზარზე პრობლემები არსებობს, რომელიც ძირითადად, რუსეთსა და უკრაინაში შექმნილ ეკონომიკურ ვითარებას უკავშირდება, რაც ქართული ღვინის ექსპორტზე უარყოფითად აისახა. ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში რუსული რუბლისა და უკრაინული გრივნის გაუფასურების გამო, ქართული ღვინის ექსპორტიორები განსაკუთრებით დაზარალდნენ.

„ჩვენი პროდუქცია ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში – რუსეთსა და უკრაინაში, ასევე გერმანიაში, პოლონეთსა და ჩეხეთში გაგვაქვს. ერთადერთი პრობლემა რუბლისა და გრივნის კურსის ვარდნაა, რაც ექსპორტს ნამდვილად შეეტყო“, – ამბობს ღვინის მწარმოებელი კომპანია „ჯვივიესის“ წარმომადგენელი.

რუბლისა და გრივნის კურსის ვარდნა ექსპორტს ნამდვილად შეეტყო

ოფიციალური მონაცემებით, 2015 წლის იანვარ-თებერვალში ღვინის ექსპორტი რუსეთში 85%-ით შემცირდა, უკრაინაში კი 66 %-ით. თუმცა, ქართული ღვინის ექსპორტის მაჩვენებლით, ეს ორი ქვეყანა კვლავ ლიდერად დარჩა. კერძოდ, ღვინის ექსპორტის 2 თვის ჯამური მონაცემებით, ლიდერობს რუსეთი – 1 007 231 ბოთლით, უკრაინა – 477 384 ბოთლით, ყაზახეთი – 458 922 ბოთლით, პოლონეთი – 220 082 და ჩინეთი – 216842 ბოთლით. რუსეთსა და უკრაინაში ეროვნული ვალუტის ფასის ვარდნის გამო, ღვინის ქართველ მწარმოებელთა დიდმა ნაწილმა ორიენტირება ევროპულ და აზიის ბაზარზე დაიწყო. განსაკუთრებით მზარდი დინამიკაა პოლონეთის და ჩინეთის ბაზრებზე ექსპორტის კუთხით. ღვინის ბიზნესით დაკავებული ზურაბ ჭარბაძე უპირატესობას პოლონეთის ბაზარს ანიჭებს.

„მთლიანი გათვლა ევროპულ ბაზარზე გვაქვს. იმას არ ვამბობთ, რომ რუსეთსა და უკრაინაში არ გავყიდით, გავყიდით, მაგრამ ისე არ გვინდა მოგვივიდეს, როგორც ზოგიერთი ქარხნის შემთხვევაში. რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტი 87 პროცენტით შემცირდა, შესაბამისად ქარხნები კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ჩვენ უბრალოდ ამ ბაზრისთვის არ გავთვალეთ ექსპორტი იმისათვის, რომ თავი ამ მდგომარეობაში არ ჩაგვეგდო. შესაბამისად, ახლა უფრო მყარი გარანტიები გვაქვს იმის, რომ პროდუქციას გავყიდით იმ ქვეყნებში, სადაც მეტი სტაბილურობაა“, – აღნიშნავს ზურაბ ჭარბაძე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა ქართული ღვინისთვის უცხოური ბაზრების დივერსიფიცირებაზე. **„იმისათვის, რომ სტაბილურობა იყოს გარანტირებული, საჭიროა, უფრო მეტ ბაზარზე ვიყოთ შესული. ბოლო წლების განმავლობაში ბაზრების დივერსიფიცირებაზე მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა. კერძო სექტორთან ერთად შევარჩიეთ პრიორიტეტული ბაზრები – აშშ, ევროპა, განსაკუთრებით პოლონეთი, აზიაში – ჩინეთი და ასევე დიდი ბრიტანეთი. სახელმწიფოს თანადაფინანსებით ქართული ღვინის კომპანიები მონაწილეობენ ღვინის თითქმის ყველა გამოფენაში, რაც მსოფლიოს მასშტაბით ტარდება“,** – აღნიშნა გიორგი სამანიშვილმა bpn.ge-სთან ინტერვიუში.

გასულ წელს საქართველომ ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) გააფორმა, აღნიშნული დოკუმენტი ქართული პროდუქციის ევროპის ბაზარზე მარტივად მოხვედრას უწყობს ხელს. ამისთვის კი საჭირო გახდა რიგი კანონმდებლობისა და პროცედურების ევროპულ სტანდარტებზე მორგება. თუმცა, როგორც გიორგი სამანიშვილი აღნიშნავს, ამ შეთანხმების შედეგად მნიშვნელოვანი ცვლილებები მეღვინეობის დარგში არ მომხდარა: **„ჯერ კიდევ 1990-იანი წლების ბოლოს, როდესაც საქართველოში მეღვინეობის დარგში რეფორმა ჩატარდა და მიიღეს კანონი ვაზისა და ღვინის შესახებ, მევენახეობა-მეღვინეობის დარგის ევროკავშირის სისტემასთან დაახლოება უკვე იყო არჩეული პრიორიტეტულ მიმართულებად. მას შემდეგ ჩვენ ყურადღებას ვაქცევდით კანონმდებლობას, კონტროლის სისტემას, რომ ჰარმონიაში ყოფილიყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამიტომაც ჩვენ ამ კუთხით გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმული გვქონდა მაშინ, როდესაც DCFTA გაფორმდა. თუმცა, ეს დოკუმენტი მაინც გვეხმარება განვითარებაში. ამგვარად, ჩვენ ევროკავშირის კულტურას უფრო მეტად ვუახლოვდებით“.**

რაც შეეხება პროდუქციის ხარისხს, ღვინის ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, რომ მეღვინეობის დარგი არც ამ მხრივ დამდგარა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე DCFTA-ის გაფორმების გამო. **„ქართული ღვინო საკმაოდ მაღალი ხარისხისაა და ქართული ღვინო უკვე დიდი ხანია, აკმაყოფილებს ევროკავშირის მოთხოვნებს. ასე რომ, განსაკუთრებული გამოწვევები ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ხარისხის გაუმჯობესების კუთხით, არ გვაქვს“,** – აღნიშნავს გიორგი სამანიშვილი.

მეღვინეებისა და ღვინის სააგენტოს ხელმძღვანელის განცხადებით, ერთადერთ პრობლემას მათთვის ამჯერად რუსეთსა და უკრაინაში ეროვნული ვალუტის ფასის დასტაბილურება წარმოადგენს. გიორგი სამანიშვილის ინფორმაციით, ამ დროისთვის ბაზარზე დადებითი ძვრები მიმდინარეობს და უახლოეს მომავალში მოსალოდნელია რუსეთსა და უკრაინაში ექსპორტის ზრდა. მისივე თქმით, გარკვეულმა კომპანიებმა იმპორტიორებთან ღვინის ექსპორტის შესახებ შეთანხმებებს უკვე მიაღწიეს.

თამთა ჯიჯავაძე

◎ უცოდინაროება თუ საბოტაჟი?

რა კავშირშია ბლუმბერგის სისტემა ვალუტის გაუფასურებასთან?

ეროვნული ვალუტის გაუფასურებამ საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა, თუმცა, ხალხს ჯერაც არ დაუკარგავს იმედი, რომ ლარი მომავალში დასტაბილურდება და შესაძლოა, გამყარდეს კიდეც. მანამდე კი, ლარის გაუფასურებას ათასგვარი მიზეზით ხსნიან: დაწყებული საგარეო თუ საშინაო ფაქტორებით და დამთავრებული ბლუმბერგის სისტემით, რომლის მიხედვითაც ლარის კურსი დგინდება. საქართველო ამ სისტემაში 2009 წლიდან ჩაერთო. ანალიტიკოსთა ნაწილი ეჭვობს, რომ ბლუმბერგის სისტემა 100%-ით დახურულია და სპეკულაციის საშუალებას იძლევა. შესაბამისად, ლარის მასშტაბური გაუფასურებაც სპეკულაციის შედეგად დაიწყო. **„სპეკულაცია არის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ასპექტი ვალუტის კურსის ფორმირების დროს. თუმცა, ჩემი აზრით, სპეკულაციურ სქემებს ლარის კურსის ფორმირებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება, თუ რომელიმე მოთამაშეს ძალიან დიდი კაპიტალი არა აქვს ისევე, როგორც თავის დროზე როტშილდს ან სოროსს ჰქონდა. კურსის ცვლილება ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია ქვეყნის სავაჭრო და საგადამხდელო ბალანსი, ან როგორი ინტენსივობისაა უცხოეთიდან შემოსული ინვესტიციები და ტრანზაქციები. დღესდღეობით, მაგალითად, სპეკულანტებმა როგორც უნდა მოინდომონ, 1 დოლარი ვერაფრით გახდება 3 ლარი იმიტომ, რომ ეს რეალობას მოწყვეტილი კურსი იქნება“,** – აღნიშნა bpn.ge-სთან საუბრისას ეკონომიკის ექსპერტმა სოსო არჩვაძემ.

ლარის გამყარება რამდენიმე წუთშია შესაძლებელი, მაგრამ ამას სისტემური ცვლილებები სჭირდება

ლარის კურსზე ბლუმბერგის სისტემის მნიშვნელოვან ზეგავლენას გამორიცხავს ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **მიხეილ თოქმაჯიშვილი**.

„ბლუმბერგის სისტემა ამ რამდენიმე წლის წინ შემოიღეს. ეს მექანიზმი უფრო მოქნილია, ვიდრე სავალუტო ბირჟა იყო, რადგან მანამდე ბირჟაზე კურსი დგინდებოდა დროის შეზღუდულ მონაკვეთში, ზოგჯერ 1 საათის განმავლობაშიც კი. ბლუმბერგის სისტემის მიხედვით, ლარის კურსი მოთხოვნა-მიწოდებაზეა დამოკიდებული. ამ სისტემის მონაწილე სუბიექტები ბანკები არიან, ამიტომაც, ბანკები დაინტერესებულნი არ უნდა იყვნენ სხვადასხვა სპეკულაციური გარიგებით. მათი დაინტერესება სპეკულაციებით ნიშნავს, რომ დღეს თუ რაღაცას მოიგებენ, ხვალ აუცილებლად წააგებენ და ეს მოგებაც განეიტრალდება. თუმცა, ლარის კურსზე დღეს იმდენი რამ ახდენს გავლენას, რომ სპეკულაციის არსებობასაც გამოვრიცხავ. მიუხედავად ამისა, კურსის ფორმირებისას გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მთელი რიგი საგარეო და საშინაო ფაქტორები, რომელიც ეროვნულ ვალუტაზე მოქმედებს. ამ კურსის ფორმირებაში არა ერთი სუბიექტი მონაწილეობს, მაგრამ მათ შორის ყველაზე ძლიერი მაინც ეროვნული ბანკი და სამთავრობო სტრუქტურებია“, – აღნიშნავს მიხეილ თოქმაჯიშვილი.

მონეტარული პოლიტიკა იმიტომ არსებობს, რომ ეს კურსი გააკონტროლოს და თუ ასე არ ხდება, მაშ, რაში გვჭირდება ეროვნული ბანკი?

თავისუფალი ეკონომიკური სკოლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი **პაატა შეშელიძე** კი პირდაპირ აცხადებს, რომ ლარის კურსზე პასუხისმგებელი ჯერ მთავრობაა და შემდეგ – ეროვნული ბანკი. პაატა შეშელიძის თქმით, ვალუტის კურსის ფორმირებისას მონეტარული პოლიტიკაა მთავარი და არა – ბლუმბერგის, ან სხვა რომელიმე სისტემა. **„როგორიც უნდა იყოს სავაჭრო სისტემა, მანიპულირების მთავარ საფრთხეს ეროვნული ბანკის უფლება-მოვალეობები შეიცავს და არა – ესა თუ ის სისტემა. ეროვნულ ბანკს აქვს ისეთი ფუნქციები, რომლის დახმარებითაც შეუძლია ნებისმიერი კურსი დაადგინოს. ამ მხრივ მას არანაირი შეზღუდვა არა აქვს და ასეთ დროს სპეკულაცია სავსებით შესაძლებელია. ასეთ დროს ვიღაცას შეუძლია ითამაშოს იმაზე, რომ ჩვენი ეროვნული ბანკი არ არის სწორად ორგანიზებული ისევე, როგორც თავის დროზე ჯორჯ სოროსმა შეძლო, ეთამაშა იმაზე, რომ ინგლისის ეროვნული ბანკი არ იყო სწორად ორგანიზებული და არასწორ მონეტარულ პოლიტიკას ატარებდა. სრული პასუხისმგებლობა მოდის ჯერ პარლამენტზე, რომელიც ცენტრალურ ბანკს არ უდგენს გარკვეულ ჩარჩოებს და მერე - ეროვნულ ბანკზე, რომელსაც კარტბლანში აქვს მიცემული და ყველაფერს თავისი შეხედულების მიხედვით აკეთებს“,** – აღნიშნავს პაატა შეშელიძე.

მისივე თქმით, ლარის გამყარება ერთ წუთშია შესაძლებელი, თუ მთავრობა და ეროვნული ბანკი სერიოზულ, სისტემურ ცვლილებებს გაატარებენ. **„ამისთვის ზაფხულის ან ტურისტების მოლოდინი საჭირო სულაც არ არის, საჭიროა მხოლოდ სწორი მიდგომა. ეროვნული ვალუტის დაცემა ხელოვნური პროცესი იყო და მისი კურსი არც ზაფხულზეა დამოკიდებული, არც კარგ ამინდზე და არც ტურისტების რაოდენობაზე. მონეტარული პოლიტიკა იმიტომ არსებობს, რომ ეს კურსი გააკონტროლოს და თუ ასე არ ხდება, მაშ, რაში გვჭირდება ეროვნული ბანკი? ეროვნული ბანკი იმიტომ არსებობს, რომ მოსახლეობა დაიცვას და მან პირველ რიგში, სწორედ ეს ფუნქცია უნდა შეასრულოს“,** – აცხადებს თავისუფალი ეკონომიკური სკოლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

პაატა შეშელიძე არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ ლარის გაუფასურებით მარტო კომერციულმა ბანკებმა ისარგებლეს. „ამ პროცესით მარტო ბანკებს არ უხეირიათ, რადგან ისინი დავალებებს ასრულებენ, თავისი ფულით კი არ ვაჭრობენ, უბრალო შუამავლები არიან. ეს სიტუაცია შექმნა ჯერ მთავრობამ და მერე – ეროვნულმა ბანკმა. ამასთან ბლუმბერგის სისტემას არანაირი ზეგავლენა არა აქვს, ასეთი რამ შეიძლება მომხდარიყო ნებისმიერი სისტემის პირობებში, აქცენტის გადატანა იმაზე, რომ ბლუმბერგი, ან სხვა ვინმეა დამნაშავე, სწორი არ არის. დამნაშავე ის არის, ვისაც სპეკულაციების საშუალება გააჩინა, ბლუმბერგი აქ არაფერ შუაშია. **ტექნიკურად ლარის გამყარება რამდენიმე წუთშია შესაძლებელი, მაგრამ ეს თითის დაწკაპუნებით არ მოხდება, ამას დანახარჯები და სერიოზული სისტემური ცვლილებები სჭირდება“,** – აცხადებს პაატა შეშელიძე.

ხათუნა ჩიგოგიძე

„არ მგონია, დღეს ღარიბაშვილის ფიგურაზე „კბილის დასობა“ მიზანშეწონილი იყოს“

„ბოდიშს ვითხოვ, მაგრამ ჩვენს კომპეტენციებში არც ერთი ორგანო, იქნება ეს პრეზიდენტი თუ პარლამენტი, უხეშად არ უნდა ჩაერიოს“, — განაცხადა მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობისადმი პარლამენტში გამოთქმული კრიტიკის საპასუხოდ.

მოკლედ, პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლას მთავრობის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. რითი შეიძლება დასრულდეს სახელისუფლებო შტოთა მორიგი ჭიდილი, ამ თემაზე ექსპერტი რამაზ საყვარელიძე გვესაუბრება.

— ვიდრე პრემიერისა და პრეზიდენტის მორიგ დაპირისპირებას შევეხებით, მთლიანობაში როგორი შთაბეჭდილება დატოვა იმან, რაც ხდებოდა პარლამენტში პრეზიდენტის საანგარიშო გამოსვლისას?

— ამ კონსტიტუციის მოტრფიალე არ ვარ და ვთვლი, რომ იმ საკონსტიტუციო არეულობის ფონზე, რაც საქართველოშია დამოუკიდებლობის დღიდან, ეს ყველაზე უფრო არეული ვარიანტია კონსტიტუციისა და ამ არევის ერთ-ერთი თვალშისაცემი ელემენტია პრეზიდენტის ადგილი სახელმწიფოში. თან, საანგარიშო მოხსენება არის ძველი ტრადიციით და ამ დროს პრეზიდენტს ძველი უფლებები აღარ აქვს. ამიტომ, სრულიად გაუგებარია, რა პროცედურაა ეს საანგარიშო მოხსენება. აქტუალურ თემებზე მოხსენება არ არის ის, რითაც პოლიტიკური ცხოვრება უნდა იყოს დაკავებული — სულ არის ამ თემებზე საუბარი მედიაში. ამიტომ ჩემთვის ინსტიტუციონალურად ეს მოვლენა არის ხარვეზი, იმის მიუხედავად, თუ როგორ გამოვა პრეზიდენტი. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ეს მისი ერთ-ერთი კარგი გამოსვლა იყო.

— ამის მიუხედავად, მარგველაშვილი საკმაოდ აქტუალურ და მნიშვნელოვან თემებს შეეხო...

— ყველა თემა აქტუალური იყო. საყვედურობენ, მხოლოდ პრობლემების ჩამონათვალი იყო და რეკომენდაციები ნაკლებად ჩანდაო — ამ ფორმატში ფართო ანალიზსაც და პრობლემების გადაჭრის გზების მითითებასაც ადამიანი ვერ მოახერხებდა. ერთადერთი, რაც თვალშისაცემი იყო, ესაა კრიტიკულობა აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურების მიმართ და ამაზე გამოჩნდა კიდეც რეაქცია.

— პრემიერ-მინისტრმაც და მინისტრებმაც, ფაქტობრივად, პუნქტობრივად გასცეს პასუხი პრეზიდენტს. „ცარიელი სკამებიდან“ გამომდინარე, თუ მნიშვნელოვანი არ იყო მარგველაშვილის გამოსვლა, შემდეგ მინისტრები, ლამის, მთელი დღის განმავლობაში რატომ პასუხობდნენ?

— გამოსვლა მნიშვნელოვანი არ არის, იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტს რეალური ძალაუფლება არა აქვს, ანუ რასაც დასახავს, იმას ვერ განახორციელებს — ამ თვალსაზრისითაა ძალადაკარგული მისი გამოსვლა და პოზიცია, მაგრამ, მეორე მხრივ, სახელმწიფოს პირველი პირია და საელჩოების მთელი კორპუსი ესწრებოდა ამ გამოსვლას, მედიაში გაშუქდა, საგარეო და საშინაო საზოგადოებრივ ჭრილში მისი გამოსვლა უდავოდ მნიშვნელოვანია.

— როგორც გამოჩნდა, პრემიერ-მინისტრს ძალიან არ მოეწონა პრეზიდენტის კრიტიკა...

— მარგველშვილმა საერთოდ აირჩია იმ ტიპის პრეზიდენტის როლი, რომელიც ერთნაირადაა კრიტიკული ყველა სახელმწიფო სტრუქტურისადმი და ცდილობს, იყოს ნეიტრალური. რაც ამ ნეიტრალური პოზიციიდან დაინახა — თქვა.

ღარიბაშვილის მსგავსად, მეც მიმაჩნია, ალბათ, აჯობებდა, სადაც ხელი მიუწვდებოდა, კრიტიკის ადრესატის პოზიცია გაეგო და შემდეგ ჩამოეყალიბებინა აზრი, უფრო კოლეგიური იქნებოდა და უცხოსავით გაკეთებული შენიშვნები არ იქნებოდა — უფრო პროდუქტიულიც აღმოჩნდებოდა მისი შრომა.

— შორიდან ჩანს, რომ მას ამის საშუალება ნაკლებად აქვს, ანუ მთავრობასთან კომუნიკაციის ნაკლებობა იგრძნობა...

— ტელეფონით დაკავშირება და მთავრობის წევრებთან შეხვედრა შესაძლებელი მგონია და, თუ მთავრობა ამაზე უარს განაცხადებს, ესეც გამოჩნდება. სასურველია, ჩვენი ხელისუფალნი ერთმანეთს კორექტულობაში ეჯიბრებოდნენ და არა კრიტიკულობაში. კრიტიკული ბევრია, ამიტომ სასურველია, ქართულ პოლიტიკაში კორექტულობის მეტი დოზა გაჩნდეს.

მეორე მხრივ, პრეზიდენტის კრიტიკულობის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ ასეთი ორთაბრძოლის გამართვაც არ იყო საჭირო და თუ ერთმა ვერ მოზომა, მაშინ მეორე მხარეს უნდა მოეზომა და ორთაბრძოლაში არ ჩაბმულიყო ის ორი პირი, რომელთა დაპირისპირებაც ცოტა უხერხულია.

— საკმაოდ ხისტი პასუხები გაისმა ღარიბაშვილის მხრიდან, როგორც მან აღნიშნა, მთავრობის კომპეტენციაში უხეშად არავინ არ უნდა ჩაერიოს, ეს პრეზიდენტი იქნება თუ პარლამენტი. დაძაბულობის ახალი ტალღა ხომ არ იწყება ხელისუფლების შტოებს შორის?

— როგორც ჩანს, ახალი ტალღა წამოვა, არადა იყო ამ დაძაბულობის ჩაქრობის შანსი, აზერბაიჯანის დღესასწაულებზე დასწრების შემდეგ და მქონდა იმედი, რომ ხელახლა თავს არ წამოყოფდა დაპირისპირების მცდელობა — სამწუხაროდ, შემეშალა.

— ხელოვნურად წამოწეული დაპირისპირება ხომ არ არის? ფაქტობრივად, მთავრობა თავის მართლების პოზაშია ხან პარლამენტთან, ხან ოპოზიციასთან, ხან საზოგადოებასა და არასამთავრობო სექტორთან და ა.შ. ამ ყველაფრის გადაფარვა პრეზიდენტთან დაპირისპირებით ნაკლებად მტკივნეული ხომ არ არის მთავრობისთვის?

— მთავრობის რიტორიკულ სტილს გააჩნია. გეთანხმებით, რომ ყველა მიმართულებით თავის მართლების პოზიცია მომგებიანი არ არის. თქვენ გამოგრჩათ კიდევ ერთი სუბიექტი, რომელთანაც მუდმივად თავის მართლების პოზიციაშია მთავრობა — ეს არის მედია. მომგებიანი არ არის არა იმიტომ, რომ მართალი ან მტყუანი სად არის, ის არ გაირკვევა, არამედ იმიტომ, რომ როდესაც თავს იმართლებ, რაღაცნაირად, დაჩაგრულის პოზიციაში ვარდები.

პრეზიდენტსაც და ოპოზიციასაც შეეძლო მეტი მახვილი გადაეტანა იმაზე, თუ რას აკეთებს მთავრობა და ამასაც საყვედურობენ მთავრობას, რომ კარგად ვერ გვაწვდის ინფორმაციას მის მიერ გაკეთებული კარგი საქმეების ირგვლივ.

გააკეთოს აქცენტები პოზიტივზე და არა ნეგატივზე, იმიტომ, რომ რაც მძაფრი იქნება რეაქცია კრიტიკაზე, მით მეტი მოინდომებს გაკრიტიკებას.

— ხომ არ არის მოსალოდნელი პრემიერის პოზიციების შესუსტება? იქიდან გამომდინარე, რაც მოხდა შს სამინისტროში - ღარიბაშვილის კადრების ჩანაცვლება, მისი გაუთავებელი კრიტიკა, არის მიმანიშნებელი, რომ მისი პოლიტიკიდან ჩამოშორება იგეგმება? როგორც კულუარებში აბობენ, ეს ყველაფერი ყოფილი პრემიერის ინიციატივით ხდება...

— მოარულ ხმებზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ ფაქტია, რომ ვინც არ უნდა იყოს პრემიერი და მის უკან მდგომი, მგონია, რომ არჩევნების წინ ასეთ ცვლილებებს არ გააკეთებს. რა თქმა უნდა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად, კრიტიკაც მოიმატებს, მაგრამ ისეთი მნიშვნელოვანი ფიგურის მოხსნა არჩევნების წინ, როგორიც პრემიერ-მინისტრია, სერიოზული დარტყმა იქნება მთელი სახელმწიფო ვერტიკალისთვის. ამიტომ არ მგონია, რომ ასეთი ცვლილებები მოსალოდნელი იყოს. არ მგონია ისეთ სიტუაციაში, როგორიც დღეს არის შექმნილი, პოლიტიკურად გამართლებული იყოს ისეთი ფიგურის გადაყენება, რომლის შეცვლაც ზიანს მიაყენებს ცალკე მმართველ გუნდს, ცალკე ივანიშვილის ფიგურას - ბოლოს და ბოლოს, მისი გადაწყვეტილებებითაა ეს ხალხი დანიშნული.

გამორიცხული არ არის, რომ ასეთი ცვლილებები მოხდეს უშუალოდ არჩევნების წინ, ოღონდ ამას უნდა ჰქონდეს სხვა ფონი და სხვა ტიპის პიარი, რომ მოსახლეობისათვის ეს ცვლილება პოზიტივის მაჩვენებელი აღმოჩნდეს და პლუსად ჩაუთვალოს ამ ხელისუფლებას.

— შეიძლება თუ არა ეკონომიკური პროლემები აღმოჩნდეს მთავრობის ცვლილებების მაპროვოცირებელი? — ეკონომიკური კეთილდღეობის მოლოდინი საკმაოდ დიდი იყო და სწორედ ამ მიმართულებითაა ყველაზე დიდი გარღვევა... ამ მიმართულებითაც ბევრი თავის მართლება მოვისმინეთ მთავრობის სხდომაზე...

— ნებისმიერი პრობლემა შეიძლება გამოიყენო ცვლილებებისთვის. ორი ძირითადი ხაზია მთავარი ჩვენი სახელმწიფოსთვის — თავდაცვისუნარიანობა და ეკონომიკა, თუკი რომელიმე მათგანში კრიზისი გაჩნდა, ბუნებრივია, ამ კრიზისის აღმოფხვრას შეეცდებიან.

— პოლიტიკურად რამდენად გამართლებული იქნება?

— სწორედ იმას ვამბობ, რომ მნიშვნელოვანია, მოსახლეობას რამდენად სწორად მიაწვდიან ცვლილებების მიზეზს. თუ ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, ჯერ მოსახლეობაში უნდა გაჩნდეს რწმენა, რომ ეს პოზიტივისკენაა მიმართული და არ არის მორიგი მარცხი. იმას, რომ ასეთი ცვლილებები გამარჯვებად იქნას აღქმული და არა მარცხად, სხვა ტიპის მუშაობა და სხვა ფონი სჭირდება.

— ვინ უნდა გააკეთოს ეს?

— ჯერჯერობით პიარის არანაირი ინსტრუმენტები არ ჩანს. როგორც ამბობენ, არც ერთ მედიასაშუალებას არ აკონტროლებენ. კი ბატონო, ეს დადებით მომენტად აღიქმება, მაშინ პრესკონფერენციების მუდმივი რეჟიმით შეიძლება ამისი გაკეთება და ა.შ.

— ინსტრუმენტები გასაგებია, ავტორი ვინ უნდა იყოს? ბიძინა ივანიშვილი? პარლამენტი?

— საზოგადოებრივ აზრზე, როგორც წესი, მუშაობს სპეციალური ჯგუფი, რომელიც გეგმავს რომელ ეტაპზე რას უნდა მიაღწიოს, რა გზებით შეიძლება საზოგადოებრივი აზრის მომწიფება და ა.შ. ასეთი ჯგუფი არსებობს თუ არა, არ ვიცი.

პერსონალურად ერთი პიროვნება ამ ყველაფერს შეიძლება აკეთებდეს, ასე იყო მიხეილ სააკაშვილის შემთხვევაში, მაგრამ მასაც არ გაუმართლა. მიშას დამარცხებას ხალხი ზეიმით შეხვდა — მასაც კი არ უვარგოდა პიარი. პროფესიული პიარის კეთება საკმაოდ სერიოზული საქმეა.

— ინიციატორი ვინ შეიძლება იყოს, მთავრობის უნდობლობის საკითხის დაყენების უფლება ვის აქვს?

— ეს საკმაოდ რთული პროცედურაა, ბიუჯეტი დამტკიცებულია. ამას ვერ მოიმიზეზებენ — ვფიქრობ, ერთადერთი გზა რჩება, ღარიბაშვილმა თვითონ უნდა თქვას უარი, როგორც თავის დროზე ივანიშვილმა გააკეთა ეს, მაგრამ არ მგონია, ღარიბაშვილის ფიგურის რესურსები ამოწურული იყოს, ან მისი ჩასანაცვლებელი ფიგურები იყოს მზად. ამიტომ არ მგონია, რომ დღეს ღარიბასვილის ფიგურაზე „კბილის დასობა“ მიზანშეწონილი იყოს.

ლალი ზირაქიშვილი

კაკალ გულში

წარცილოვანი თქმაზები

● **არავინ გაბედოს და თქვას ფინანსთა სამინისტრო არ მუშაობსო. მთელი დღეა, ვრეკავ ცხელ ხაზზე 2 299 299 და ავტომოპასუხე მეუბნება „ყველა ოპერატორი დაკავებულიაო“. ცხელი ხაზის ოპერატორები რომ დაკავებულები იქნებიან, უფრო მაღალი ჩინოსნები ხო სულ ოფლში იქნებიან გახვითქულები!!! ჩემი მშრომელები!**

● **საქართველოს პარლამენტს და პოლიტიკურ პარტიებს ვულოცავ პროფესიულ დღესასწაულს! (დღეს აპრილის ორია, ვინც ნაძირლობს ღორიაl!!).**

● **„განსხვავებული კვესიტების“ მორიგი თემა — ხელისუფლების ორმაგი სტანდარტები. ჩტობიგავარილა რა... — ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ნაგლები!**

● **პარლამენტში მიმდინარეობს საყდრისის საკითხის განხილვა.**

ერთი მხარე გულმხურვალედ, მკერდით იცავს საყდრისის ლეგენდას (თუ სინამდვილეს), მეორე კი ყოველნაირად ცდილობს, გააცამტვეროს პირველთა მოსაზრებები და არგუმენტები. რომ არ ვიცოდე, რომელი მხარე თუ პიროვნება ვინაა და რას წარმოადგენს, უყოყმანოდ პირველების მხარეს დავიჭერდი, ხოლო როდესაც გავერკვეოდი, აღმოჩნდებოდა, რომ ნაცმოძრაობის უპირობო მხარდამჭერი ვარ!

რათა მერე, კაცო?! ერთხელ უკვე ვთქვი, — სხვაც რომ არ იყოს, თუნდაც მხოლოდ სახელწოდების გულისთვის („საყდრისი-ყაჩაღიანი“) ღირს შენარჩუნება-მეთქი.

● **ეკონომიკურ-ფინანსური მიმოხილვა**

სულ მიკვირს, სიტყვა „ფისკალურის“ ხსენებისას ბოდიშს რად არ იხდიან-მეთქი. ძალიან მყრალ სიტყვას წააგავს. და კიდევ: ვის შეუძლია, არახადურულ, ანუ ადამიანურ, მარტივ, გასაგებ ენაზე ამიხსნას, რა არის დღგ (დამატებითი ღირებულების გადასახადი)? ამასთანავე, თუ დამარწმუნებს, რომ ეს გადასახადი ლოგიკური და სამართლიანია, მთლად უკეთესი, ანუ უარესი.

● **ტყუილის საერთაშორისო დღე!**

უნდა ვაღიარო, რომ კარგი ტყუილი მიყვარს, ოღონდ, უნდა იცოდე ადრესატი, ანუ ობიექტი... რა თქმა უნდა, ახლობელი ადამიანი არ უნდა მოატყუო (ისე, ამასაც აქვს გამონაკლისები)... აბა, წარმოიდგინეთ, ყველა რომ სიმართლეს ამბობდეს, რა მოსაწყენი იქნებოდა ცხოვრება. ბოლოს-დაბოლოს, არ იარსებებდა ოსტაპ ბენდერი, ბარონი მიუნჰაუზენი, კარლსონი, არც მხატვრული ლიტერატურა იარსებებდა და არც მხატვრული ფილმები და ჩვენმა მტერმა უყურა მხოლოდ დოკუმენტურ რეალობას... ბოლოს და ბოლოს, ეს ჩვენი მილიარდერებიც ვერ იქნებოდნენ მილიარდერები, სულ სიმართლე რომ ელაპარაკათ...

არ თქვათ ახლა, „მწარე სიმართლე“ მირჩევნია „ტკბილ ტყუილსო“... მე, არ მირჩევნია და გამატარეთ... ეს მინდოდა მეთქვა რა...

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ...შენ ჩემო ნიჭო, სრბოლავ და ფრენავ...“

ენას, რომლის მივიწყებასაც ცდილობდნენ, იუნესკოს ნომინაციაზე წარადგენენ

წლების მანძილზე ცდილობდნენ, ჩაენერგათ ქართველებისთვის ჩვენი ენის მეორე ხარისხოვნება. ჯერ იყო და სკოლებში შეამცირეს ქართული ენის სწავლების საათები, მერე ილიას სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, ნაციონალთა მაშინდელი იდეოლოგიური რუპორი გიგი თევზაძე გამოვიდა ინიციატივით, მისაღები გამოცდებიდან ამოეღოთ ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდები. ქუჩებში გამოკრულ აბრებზე მშობლიური ენა დაჩაგრული, კუთხეში მიგდებულის მდგომარეობაში ჩააყენეს, ზოგან ქართული წარწერები საერთოდ მოხსნეს, პირველ პლანზე უცხოენოვნებმა წამოიწიეს. ყველაფრის დამაგვირგვინებელი მაშინდელი პრეზიდენტის გამოსვლა გამოდგა, როდესაც საჯაროდ განაცხადა — ქართულ პრესას საერთოდ არ ვკითხულობო. ამით სააკაშვილმა არა მარტო ქართული ჟურნალისტიკის მისთვის მიუღებლობა აღიარა, არამედ ქართული ენისა და, საერთოდ, ყველაფერი ქართულისა.

ისტორიკოსი ნათელა ქევხიშვილი საინტერესო პარალელს ავლებს XVIII-XIX საუკუნეების მოვლენებთან, როდესაც რუსეთში, მაღალი საზოგადოება შეგნებულად დევნიდა რუსულს და მისი ფრანგულით ჩანაცვლებას ცდილობდა, მშობლიურ ენას „პლებეების“ საურთიერთობოდ წარმოაჩენდა; ქართველი საზოგადო მოღვაწეები ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე და ბევრი მათი მსგავსი, უცხოეთში მიღებული განათლების მიუხედავად, მშვენივრად ფლობდნენ უცხო ენებს, მაგრამ ქართველ საზოგადოებას დედაენაზე ესაუბრებოდნენ. იმ დროს ცარიზმი ღიად დევნიდა ქართულ ენასა და ყველაფერ მშობლიურს; ერის კაცები ქართულ შედევრებს ქმნიდნენ.



რუსიფიკატორთა მსგავსად, ქართული ენის ამოძირკვას საუკუნეების განმავლობაში ცდილობდნენ უცხო ტომელი დამპყრობლები. არ გამოუვიდათ. ნაციონალებად მონათლული უმსგავსო მოძრაობაც, ცდილობდა გარედან მიღებული შეკვეთის შესრულებას. მათ, უმაღლესი და საშუალო სკოლების პროგრამებში მნიშვნელოვნად შეკვეცეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესასწავლი საათები. სწავლებიდან ამოიღეს საქართველოს ისტორია, როგორც საგანი (ძირითადად უმაღლესებში). შეგნებულად გააპარტახეს ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ღვაწლმოსილ პროფესორებსა და პედაგოგებს „ჩარეცხილების“ იარლიყი მიაკრეს. იმ დონეზე მიიყვანეს ისინი, რომ ზოგმა „ტაქსობა“ დაიწყო, ზოგი ბაზრობაზე ავტომანქანების სათადარიგო ნაწილებს ჰყიდის და ა. შ. შემცირდა სამეცნიერო პროექტის დაფინანსება. შემცირდა არაქართველებით დასახლებულ რეგიონებში ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგების, სპეციალისტების გაგზავნის პრაქტიკა და მრავალი სხვა.

ამ ურთულეს პირობებში მეცნიერები, ჭეშმარიტი პროფესიონალი და პატრიოტი ადამიანები, მაინც ქმნიდნენ ფუნდამენტალურ შრომებს. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, როდესაც საქმის მცოდნეებზე ყოველგვარი წნეხი მოიხსნა და სახელმწიფომ შესაძლებლობის ფარგლებში კვლევების განახლების საშუალება მისცა, მეცნიერებმაც თავიანთი პირველი შედეგები დადეს.

საფუძვლიანი მეცნიერული კვლევების შედეგად, შარშან, იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიაში ორი ქართული ძეგლი — **პოლიფონია** (მრავალხმიანობა) **და ქვევრის ღვინის უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი შეიტანა.**

მრავალწლიანი უმძიმესი შრომის პირობებში, სერიოზული სამუშაოები ჩატარდა ქართულ ენათმეცნიერებაში. ძველი ხელისუფლების ახლით ჩანაცვლების შემდეგ კი, მათი კვლევები ფინიშის სწორზე გავიდა, როგორც გაეროს იუნესკოს ძეგლთა დაცვის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის უფროსი რუსუდან მირზიკაშვილი, ამბობს, უკვე დამთავრებულია მუშაობა ამ პრესტიჟულ საერთაშორისო ორგანიზაციაში არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში ქართული ანბანის სამი სახეობის — ასომთავრულის, ნუსხურისა და მხედრულის ნომინაციაზე წარსადგენად. სამი ანბანის სამი სახეობის კულტურის ძირითადი ღირებულება მისი უწყვეტი თანაარსებობაა, რომლის მთავარი მონაპოვარია, ქართული კულტურის ერთიანი განვითარება, წიგნის კულტურის მრავალფეროვნება და ქართველი ერის ფორმირება.

სპეციალისტის განმარტებით, ანბანებთან მიმართებაში ყველაზე საყურადღებო არის ის, რომ მათ წლების მანძილზე გაუძლეს ევოლუციებს და არ დაკარგეს თავისი ფუნქცია და როლი და პრაქტიკაში, როგორც საუკუნეების მანძილზე ხდებოდა, ახლაც ისევე გრძელდება პარალელურ რეჟიმში მათი თანაარსებობა. ფართო საზოგადოება უმეტესად მხედრულს იყენებს. მხედრულს, ასომთავრულთან და ნუსხურთან ერთად იყენებს სასულიერო საზოგადოება. ანბანის სამივე სახეობას იყენებენ ენათმეცნიერები, ხელოვნებათმცოდნეები, ლინგვისტები, კალიგრაფები და ა.შ.

მირზიკაშვილის გადმოცემით, ფასდაუდებელ შრომაში, რომელიც იუნესკოს ნომინაციაში წარდგენისათვის დაიხარჯა, უდიდესია საქართველოს საპატრიარქოს, ქართული მართმადიდებელი ეკლესიის წვლილი, რომელიც ამ კულტურის უმნიშვნელოვანესი მხარეა. კვლევებსა და შრომებში ენით აუწერელი ამაგი მიუძღვით ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ეროვნულ არქივსა და ბიბლიოთეკას, სხვა სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებს. სრული დოკუმენტაცია ნომინაციაზე წარსადგენად იუნესკოში 31 მარტს გაიგზავნა.

ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ლინგვისტები, სპეციალისტები, ექსპერტები ქართული სამი ანბანის იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. ჯერ ერთი, ამით საზღვარგარეთ მყოფ ქართულ დიასპორებს გაუჩნდებათ ახალი, მძლავრი სტიმული, შეისწავლონ არა მხოლოდ მხედრული, არამედ ნუსხურიცა და ასომთავრულიც. სტატუსის მინიჭების შედეგად, საქართველოთი, მისი კულტურითა და ა.შ. დაინტერესდებიან არა მხოლოდ მსოფლიოს ქვეყნებში კანტიკუნტად მიმობნეული ქართველოლოგები. ჩვენი ენისთვის მსოფლიო სტატუსის მინიჭება ბიძგს მისცემს საქართველოს მოქალაქე არაქართველებს საფუძვლიანად შეისწავლონ მათი მეორე მშობლიური და, ამავე დროს, სახელმწიფო ენა. შეაფერხებს დროებით ოკუპირებულ ქართულ მიწებზე , ქართულ ტაძრებზე სეპარატისტთა და ათასი სხვა რჯულის ნაძირლების ქართული წარწერების წაშლის მცდელობას და ამით მათ ქართულ წარმომავლობაზე ხაზის გადასმას.

საერთაშორისო მნიშვნელობის სტატუსი საშუალებას მისცემს დარგის სპეციალისტებს, უფრო მასობრივი გახადონ სამეცნიერო კვლევები. ახალგაზრდებს კი გაუჩენს მშობლიური ენისადმი მეცნიერული მიდგომის სურვილს და კვლავ დაიზრდებიან საქართველოში შანიძეები, კეკელიძეები, ბარამიძეები, ღლონტები, კვაჭაძეები, თევზაძეები და ა.შ. — დარწმუნებულნი არიან პედაგოგები.

ზაზა ბილიხოძე

◎ „იძ“ და ჩვენთან

გზა, რომელიც სიდუხჭირის გოლგოთა აღარ იქნება

22 მარტს, 92 წლის ასაკში, გარდაიცვალა ლი კუან იუ — სინგაპურის პირველი პრემიერ-მინისტრი. იგი ქვეყნის სათავეში 30 წლის მანძილზე იმყოფებოდა, შემდეგ კი ეს თანამდებობა მისმა ვაჟიშვილმა გადაიბარა.

პრემიერ-მინისტრად ყოფნის დროს ლი კუან იუმ თავის გარემოცვაში არაერთი სასტიკი „წმენდა“ ჩაატარა და ნებისმიერი სახეობის სამართალდარღვევისთვის უზარმაზარი ჯარიმა დააწესა.

ვიდრე ლი კუან იუ ციდა ქალაქ-სახელმწიფოს ხელისუფლების სათავეში მოვიდოდა, სინგაპური აზიის ერთ-ერთი მივარდნილი ადგილი იყო. მე-20 საუკუნის მიწურულისთვის კი იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წელგამართული ეკონომიკის მქონე სახელმწიფოდ იქცა. ამის მიღწევა კი კორუფციასთან ათწლეულობით შეუპოვარი ბრძოლის წყალობით გახდა შესაძლებელი. მოგვიანებით, თავის მოგონებებში ლი წერდა: **„კორუფციასთან ბრძოლის ბიუროს მოხელეებს ყურადღების გამახვილება უმაღლესი ეშელონის მაღალი თანამდებობის ჩინოსნებზე მოვთხოვეთ“.**

კორუფციასთან ბრძოლის ბიუროს დირექტორს სამართლებრივი დევნის დაწყება ნებისმიერი მინისტრის, პრემიერის ნათესავის წინააღმდეგაც შეეძლო, სასამართლოებს ნება დართეს, კორუფციაში მამხილებელ საბუთად მიეჩნიათ ჩინოსნის ხელფასისა და ქონებრივი თუ ცხოვრების წესის შეუსაბამობა. ამის შედეგად, ზოგიერთი მექრთამე საზღვარგარეთ გაიქცა, ზოგმა ციხეში ამოყო თავი, ზოგმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

საგულისხმოა, რომ საზოგადოებას მორიდების მაგალითი თავად პრემიერ-მინისტრმა უჩვენა: **„ჩემი რეზიდენცია მთავრობების კუთვნილებაა. მე არც არანაირი შეღავათი არა მქონია, არც პირადი მძღოლი მყოლია, არც მებაღე, არც მზარეული, არც ვინმე სხვა მსახური...“**

21-ე საუკუნის დამდეგიდან, ცხოვრების დონით, ბიზნესის წარმართვის კომფორტით, საზოგადოებრივი წესრიგით, სოციალური უზრუნველყოფით, ჯანდაცვის გამართული სისტემით და ა. შ. სინგაპური სტაბილურად შედის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების ათეულში. **სინგაპურული „სასწაულის მამის“ რეცეპტები კი მათთვის, ვისაც საკუთარი სამშობლოს კეთილდღეობა სურს, კლასიკადაა ქცეული.**

სწორედ ლი კუან იუსა და მის არც თუ მრავალრიცხოვან თანამოაზრეთა ერთგული თანადგომით აყვავებული ქალაქ-სახელმწიფოს მსგავსი ქვეყნის აშენებას გვპირდებოდა ბოლო წლების მანძილზე ნაციონალური მოძრაობა, თუმცა, რა შედეგიც მივიღეთ, ყველასთვის კარგადაა ცნობილი. ეს ამაო მცდელობა სახლის სახურავიდან მშენებლობას, ცნობილი „პოტიომკინის სოფლების“ დარი ფასადური კეთილდღეობის მატყუარა იერ-სახის ქვეყნის მშენებლობის პიარზე გათვლილ „აღმშენებლობას“ ჰგავდა, რომლის მიღმა ხალხისთვის, არსებითად, არაფერი იყო შეცვლილი.

საქართველოს ყბადაღებული „სინგაპურიზაცია“, რომ იტყვიან, „ერთი-ერთზე“ მხოლოდ იმით გამოიხატა სრულად, რომ საპატიმროები გაივსო, თუმცა კი, ამ „აზიური ვეფხისგან“ განსხვავებით, მათში აბსოლუტური უმრავლესობა პოლიტიკური ნიშნით დევნილი, სხვა უდანაშაულო და, უამრავ შემთხვევაში, საკუთარი მარიფათით და კეთილსინდისიერი შრომით შეძენილი ქონების უუფლებო მძევალი გახდა.

ვიმედოვნებთ, რომ, ხვალ იქნება თუ ზეგ, ამ გზას საქართველო მაინც წარმატებით გაივლის ისე, რომ ხალხისთვის ეს სიდუხჭირის გოლგოთა აღარ იქნება.

ოთარ ტურაბელიძე

◎ გაზმომარაგება

ზარალი ნაკლები რომ იყოს

როცა კი ქვეყანაში კომუნალური მომსახურების ტარიფების ტვირთის სიმძიმეზე (კერძოდ, ელექტროენერგიის, ბუნებრივი გაზის თუ სასმელი წყლით მომარაგების) საჯარო ლაპარაკი იწყება ხოლმე, ბაზრის მონოპოლისტების არსებობას ნაკლებად ვინმე თუ ახსენებს. **განსაკუთრებით ეს ენერგოშემცველებით მოსახლეობის მომარაგებას ეხება, რომელი ბაზრის სრული ბატონ-პატრონი საქართველოში აზერბაიჯანული „სოკარია“.** ლაპარაკი მაშინვე სხვადასხვა, ასე ვთქვათ, „გვერდით“, „თანმხლებ“ პროცესზე გადააქვთ, რომელთა შორის ბუნებრივი გაზის მომარაგების სისტემაში უდავოდ ზენორმატიული დანაკარგებია, რის გამოც სამომხმარებლო ტარიფის შემცირება თითქოსდა ვერ ხერხდება. ამდენად, ახლახან საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკის) მიერ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების დაანგარიშების ახალი წესის დამტკიცება, თავისი მნიშვნელობით ჩვეულებრივი „მორიგი“ გადაწყვეტილების სტატუსს ნამდვილად სცილდება.

— ახალი წესის მიზანია ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში ფაქტობრივი დანაკარგების შემცირების სტიმულირება ლიცენზიატების **(ანუ რეგიონული გაზგამანაწილებელი კომპანიებისთვის — ო. ტ.)** ნორმატიული დანაკარგების სამიზნე მაჩვენებლების დადგენით, — აცხადებენ ამასთან დაკავშირებით სემეკში. კომისიის წევრის **გოჩა შონიას** თქმით, წესი თანამედროვე მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაშია: — კერძოდ, ნორმატიული დანაკარგების პროცენტული მაჩვენებელი ბუნებრივი გაზის **განაწილების ყველა ლიცენზიატისთვის საბოლოო სამიზნე მაჩვენებელზე უნდა იყოს მიმართული, რომელიც მთელი მოცულობის 2 პროცენტითაა განსაზღვრული.** აღნიშნულის მისაღწევად კი თითოეულ ლიცენზიატს ხუთწლიანი ვადა დაუწესდა. შესაბამისად, დროის ამ ხუთწლიანი მონაკვეთისთვის, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისია გაზგამანაწილებელ კომპანიებს ნორმატიული დანაკარგების სამიზნე მაჩვენებლებს (ანუ ტრენდებს) დაუდგენს, რომლებიც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში უცვლელი დარჩება.

უნდა ითქვას, რომ გაზგამანაწილებელ ქსელში ფაქტობრივი დანაკარგების შემცირების სტიმულირება დღემდე არსებული დანაკარგების დიდი მაჩვენებლითაა განპირობებული. საქართველოში დაახლოებით 40 გაზგამანაწილებელი კომპანიაა, რომელთა აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარ გამანაწილებელ ქსელში ნორმატიულზე გაცილებით დიდი დანაკარგები აქვს, რაც, ჩვეულებრივი ქსელების გაუმართაობითაა გამოწვეული. ახალი წესის შემოღების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ეს ზენორმატიული დანაკარგები საგრძნობლად შემცირდეს, რაც, საბოლოო ანგარიშით, ისევ ლიცენზიატების ინტერესებშია.

იხ. 11 გვ.

◎ გზადაგზა ნაპოვნი სურათები

აკორდეონი – იმედის იმედი

„ძუჩის მუსიკოსობას“, რა გასაკვირია, უფრო ახალგაზრდები ეტანებიან, დგანან მიწისქვეშა გადასასვლელებში ბიჭები, გოგო-ბიჭები, მარტოკები, აჟღერებენ გიტარას, რომელიმე მელოდიას (უფრო უცხოურს) აყოლებენ ხმას, ხურდა ფული კი იყრება და იყრება მათ წინ...

ეს თმა-წვერთეთრი, ხანშიშესული კაცი, რამდენიმე დღეა, იმ გადასასვლელში მოკალათებულა, სადაც ყოველ დილით მიწევს ჩასვლა. ახალგაზრდა „კოლეგებისგან“ განსხვავებით, იგი აკორდეონს ახმიანებს, თითები ოსტატურად დასტრიალებენ კლავიშებს და, უშვებს, რა მელოდიებს უშვებს ეს დალოცვილი ინსტრუმენტი...

ახალი გაზაფხულია და უფრო ჯემალ სეფიაშვილისა და მურმან ლებანიძის „გაზაფხული შემოსულა, ლენ!“ აქვს პროგრამაში ჭაღარა მუსიკოსს. გამვლელ-გამომვლელიც კმაყოფილია, ჩერდებიან, ხურდა ფულს ტოვებენ... მეც ჩავაგდე ოცთეთრიანი მინის ჭურჭელში, თან გამოველაპარაკე მუსიკოსს:

– სად იყავი კაცო აქამდე... პირდაპირ, „ააბულბულე“ აქაურობა! – შევაქე ღიმილით.

– ნამეტანი გამიჭირდა და!..

– სადაური ხარ?!

– რუსთავში ვცხოვრობ ახლა... ისე, მარტვილელი ვარ... იმედო კვარაცხელია...

– პროფესიონალივით კი უკრავ და...

– არა, თვითნასწავლი ვარ... ყმაწვილობიდან მიყვარდა მუსიკა, ჩვენთან უფრო აკორდეონი იყო „მოდაში“ და მეც ვისწავლე... გამომადგა ახლა, დავრჩი ამის იმედად... ვშოულობ ორ კაპიკს...

– იმედო, აბა, ერთი კაი მელოდიით გამაცილე!.. – და ოცთეთრიანს კიდევ ვაგდებ მინის ჭურჭელში.

– მოგიკვდეს ჩემი თავი!.. – და იმედო გოგი ცაბაძისა და გიგლა ხუხაშვილის მელოდიას მადევნებს: „ვეძებე და, ვერსად ვპოვე, მე სხვა თბილისი!“

ქალი იცინის უმისამართოდ...

ძალის განწყობას და ხასიათს ვინ გაიგებს... ჩვენი ძვირფასი მუხრან მაჭავარიანი ასეთ რამეს დაჰკვირვებია და ერთ-ერთ ლექსში კითხვას სვამს: „ქალი ქუჩაზე როცა გადადის, რატომ იცინის უმისამართოდ?..“

რას გაიგებ...

...წვიმს თბილისში გადაუღებლად. აინთო მწვანე შუქი და გადავდივართ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე. ზოგს ლაბადა მოუსხამს, ზოგს ქოლგა გაუშლია, ზოგს არაფერი იფარავს წვიმისგან და სხვებზე მეტად ჩქარობს... ჩემ გვერდით შინდისფერქოლგიანი მიმზიდველი ქალი მოაბიჯებს, გაიხედავს ქალი მარცხნივ – გაიღიმებს, გამოიხედავს მარჯვნივ – ღიმილი უკიაფებს თვალებში... არადა, ქვეყანა იქცევა!..

ქალისას, მართლაც რას გაიგებ!



კოლეგა

შორიდან რომ შემამჩნია, თითქოს, იუხერხულა კიდეც, მაგრამ ვეცადე, მდგომარეობიდან გამომეყვანა: „ასე წავიდა ჩვენი საქმე, ბატონო შალვა... რა უნდოდათ, ცხოვრობდით ჩვენთვის ძაღლუმადურად... საჭმელი მაინც გვქონდა“...

უფროს კოლეგას, ღვაწლმოსილ ჟურნალისტ შალვა სანდომაძეს დახლი მოუწყვია, ზედ წიგნები დაულაგებია კოხტად, ერთიმეორის მიყოლებით და მოთმინებით ელოდება მუშტარს.

„რას იზამ, ჩემო კარგო... იყო დრო, მე რომ მივლინებით ჩავდიოდი რომელიმე რაიონში, რაიკომის მდივანი შავი „ვოლგით“ მასეირნებდა ზევით-ქვევით – ემანდ კრიტიკული არაფერი დაწეროსო და, როგორ ეცა პატივი, აღარ იცოდა... ეეეე... დრონი მეფობენ... ახლა ალიონზე გავდივარ სახლიდან, შვილიშვილებმა რომ არ შემამჩნიონ. ნაშუაღამევს ჩამიწყობს ცოლი ჩანთაში ამ სიმწრით ნაყიდ წიგნებს და დილაბნელზე გამომისტუმრებს ქუჩაში... რა ვქნათ, – არც ბიჭი მუშაობს, არც რძალი... ეს საცოდავი პენსია ვის ეყოფა... ვდგავარ ასე მთელი დღე, მაგრამ ვის უნდა შენი წიგნი, ვის აქვს ამაში დასახარჯი ფული...“

თვეზე მეტია ვეღარ ვხედავ შალვა სანდომაძეს, იქნებ სადმე გადაინაცვლა? იქნებ ავადმყოფობს? რაიმე უბედურება რომ მოსვლოდა, გავიგებდით – ოჯახის სამგლოვიარო განცხადებას მაინც მოიტანდნენ ჩვენს რედაქციაში შინაურები.

ღმერთმა დაიფაროს!

ვილენ მარდალეიშვილი

◎ პოეზია

ახალი სხივი

რუსთაველის თეატრის სცენაზე „ქართული ერთობის“ კონგრესის მორიგ ფორუმზე, საკუთარ ლექსებს კითხულობს სრულიად ახალგაზრდა სვანი ბიჭი **ოთარ ფალიანი**. ლექსიც კარგი, დეკლამაციაც კარგი. შესანატრი ნიჭიერება და უბრალოება... დარბაზი აღფრთოვანებულია, რა კარგია, რომ სახელოვან ერისშვილთა ხელდასხმით ჩამოყალიბებულ ერთობის კონგრესს ასეთი ახალგაზრდა და პატრიოტი წევრებიც ჰყავს.

კონგრესის მონაწილეებს განსაკუთრებით მოეწონათ ოთარ ფალიანის აფხაზეთისადმი მიძღვნილი ლექსი, თუმცაღა, ამ ლამაზი სულის პოეტს და დეკლამატორს (მაღალი შუბლით და გრძელი ხელებით ღადო ასათიანს რომ ჩამოჰგავს), თითქმის ყველა ლექსი წრფელი და ჯავარიანი აქვს.

ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ მოყვრის პოზიციიდან გადაიკითხავთ დღეს ჩვენს გაზეთში წარმოჩენილ მის რამდენიმე ლექსს.

დარწმუნებული ვარ, რომ ოთო ფალიანს, დიდი ქართული პოეზიის ჯერ-ჯერობით პატარა სხივს, დიდი მომავალი აქვს.

სპარტაკ ქოგულია

აფხაზეთს

გადაივლის ეს ღამეც და მთვარის ბინდიც –
სადღაც წავა მშვიდად, მიჩუმათდება,
დაიხსომეთ – საქართველო, აფხაზებო,
აფხაზეთით იწყება და მთავრდება!
შარათანით, მგზავრულით თუ აზამატით,
მოვდიოდით ოდოიით, ცეკვა-ლხენით,
მაგრამ ბოლოს ერთიანად გავჩანაგდით
გატეხილი, გაძარცული ტაძრებივით.
ძველებურად ვეღარ ვუგებთ კაკანათებს
ჩიტებს, ანუ აფხაზეთის ცის შვილებს,
ცოტა ხნის წინ ავტომატი ვაკაკანეთ,
უფრო ადრე მორდუს ქალი ვიშვილეთ.
მოჩქეფს ბზიფი, თვალს უსწორებს ეშერი და
ცოტა ზევით ბანს გასძახის ფსოუს წყალს,
წუხელ, თურმე, სულ შემთხვევით, თემურსა და
იმ ჩვენს ხვიჩას ერთმანეთი მოუკლავთ.
ვაზის ჯვარი ნამტვრევებად მთლად ქცეულა,
ბოდბის კედლებს წამოსტკივდათ მუხლები,
წმინდა ნინო საფლავიდან გაქცეულა,
გაპარულან რძისფერ ცაზე ღრუბლები.
გადაივლის ეს ღამეც და მთვარის ბინდიც –
სადღაც წავა მშვიდად, მიჩუმათდება,
დაიხსომეთ – საქართველო, აფხაზებო,
აფხაზეთით იწყება და მთავრდება!

აღდგომის მეორე დღე სასაფლაოზე

საფლავზე ბინდი სევდის მმოსავი,
დახშულ სივრცეში კუთხე ოთხივე,
მამალი ყივის დილის მოსვლამდე
და მზის სხივით აქვს ყელი მოთხვრილი.
ივსება მიწა გრილი და მძიმე,
ცოდვით, ჰაერით, წყლითა და ცეცხლით,
მარმარილოებს ჯერ კიდევ სძინავთ
და წითლად ბზინავს აღდგომის კვერცხი.

წვიმს!...

წვიმს,
უკვე გაგვალთ საცაა გარეთ,
დავტოვებთ საკნებს, – ნესტიან ფუძეს,
დასერილი გვაქვს მაჯები დანით,
ადამიანი ყველაფერს უძლებს!
წვიმს,
და განწყობას ვერაფრით ვერ ცვლის,
ქარს გული მაინც ტკივილით უცემს,
დილაც კი ვეღარ შემოჰყავთ მერცხლებს,
ადამიანი ყველაფერს უძლებს!
წვიმს,
და გვაწუხებს ქალაქის მკვიდრებს,
ვაყოლებთ დღეებს ნაღველს და უმ ცრემლს
და მაინც ღმერთი არასდროს კვდება,
ადამიანი ყველაფერს უძლებს!
წვიმს,
ცაზე რუხი ღრუბლის სეტერი,
თავს გვახვევს ამინდს მოსაწყენს, უცვლელს
და როცა გვილხინს მაშინაც ვტირით
ადამიანი ყველაფერს უძლებს!
წვიმს,
და თავს მდიდრულ სამოსში ვირთობ,
ვშიმშილობთ მარხვას ვასწავლით მუცლებს
და თითქოს გულიც აღარსად გვიკრთის,
ადამიანი ყველაფერს უძლებს!
წვიმს,
ძლივს ვეჩვევით ქალაქში ძუნძულს,
გვიკვირს სიცოცხლეც მთავრდება უცებ,
ადრე თუ გვიან სიკვდილი გვიმძიმს...
ადამიანი ყველაფერს უძლებს!
წვიმს,
უკვე გაგვალთ საცაა გარეთ,
დავტოვებთ საკნებს, ნესტიან ფუძეს,
დასერილი გვაქვს მაჯები დანით,
ადამიანი ყველაფერს უძლებს!

ტკივილი

აქ ეცერი, იქ იელი, იქეთ კალა,
ამ მიწა-წყალს აწი სად ან ვინღა იცავს?..
დავდივარ და დაძმარებულ ტკივილს ვმალავ
რადგან ყველა ქალაქისკენ გამოიქცა...
მამლის ყელში გაჩხერილა მზე-წანდილი,
ვერ ამოდის, ვეღარ ბჟუტავს საესავო
და მოსთქვამენ ეს კოშკები ხელგაწვდილნი,
ნუთუ ყველა ქალაქისკენ გაგვექცაო?
ვინღა ათბობს, შეციებულ კერა-მაჩუბს,
თოვლმა უნდა მოიზამთროს ათოვს მურყვამს,
როგორ სუნთქავთ? როგორ გძინავთ ბარში არჩვებთ?
არჩვებთ მთა და ნაბრალებში ძილი უყვართ!
აქ ეცერი, იქ იელი, იქეთ კალა,
ამ მიწა-წყალს აწი სად ან ვინღა იცავს?..
დავდივარ და დაძმარებულ ტკივილს ვმალავ
რადგან ყველა ქალაქისკენ გამოიქცა...

დედას

დე, იყოს ჩემკენ წვიმდეს და ქუხდეს,
მტკიოდეს, როგორც მტკიოდა უწინ,
შენთვის მოვწყდები სხეულს და ფუძეს,
როგორც ხმელ ფოთოლს მოსწყდება ყუნწი.
ცაზე ამთქნარებს მზე შარშანდელი,
ნოემბერია, ზამთრის ნაბირი,
შენა ხარ ჩემი ვერცხლის შანდალი,
შენა ხარ ჩემი ბზაც და საფირიც.
დავდივარ ღვინით გამოთრობილი,
შენი ფილტვების დამაქვს ანთება,
ვიცი, საღამოს თოვლი მოთრთვილავს
და ყაჩაღივით ჩამოსაფრდება.
რა შემრჩა, დედი, ბოლო ლუკმიდან?
წამექცა ჭერი თავზე, ქვითკირის,
და გარეთ თოვლსაც თოვლი უკვირდა,
როგორც ანგელოზს ღმერთის სიკვდილი.
ყოველ ცისმარედ თავს ვინუგეშებ,
ან მანუგეშე თხვიმს ჯაღვნე მიშვებ,
ცრემლი გამშრალა ღარიბ გუგებში,
ვეფოფინები მილეულ მზის შუქს.
დე, იყოს ჩემკენ წვიმდეს და ქუხდეს,
მტკიოდეს, როგორც მტკიოდა უწინ,
შენთვის მოვწყდები სხეულს და ფუძეს,
როგორც ხმელ ფოთოლს მოსწყდება ყუნწი.
დავდივარ, დედი, გამოთრობილი,
შენი ფილტვების დამაქვს თან ხველა
და, მარტობით სავსეს ყელამდის,
მხოლოდ თოვლი მაქვს თავზე საყრელად.

ოთარ ფალიანი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ირაკლი ალასანია საიდუმლოებებს ამჟღავნებს

თბილისში 2 აპრილს მოეწყო პირველი წინასწარი სასამართლო მოსმენა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ექსჩინოვნიკების საქმესთან დაკავშირებით. უწყების რამდენიმე ყოფილ თანამშრომელს ბრალი ედება სახელმწიფო სახსრების გაფლანგვაში. ისინი ნახევარი წლის წინათ დააკავეს, როდესაც თავდაცვის სამინისტროს სათავეში ედგა ირაკლი ალასანია, რომელიც დაჟინებით აცხადებს მათს უდანაშაულობას. ამ გახმაურებული დაპატიმრების ვითარებათა შესახებ ექსმინისტრი საუბრობს დოკუმენტურ ფილმში, რომელიც ინტერნეტში გამოაქვეყნეს. ვიდეოს საქართველოში უკვე სკანდალური უწოდეს.

2 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთბაშად ყოფილი სამი მინისტრი მივიდა. სამხედრო უწყების ექსხელმძღვანელი ირაკლი ალასანია, ევროინტეგრაციის ყოფილი მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და ყოფილი საქართველოს საგარეო საქმეთა ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძე. მათ გადაწყვიტეს, მხარი დაუჭირონ თავდაცვის სამინისტროს ყოფილ ჩინოვნიკებს, რომლებიც განსასჯელის სკამზე აღმოჩნდნენ. ყოფილმა ჩინოვნიკებმა, რომლებიც ამჟამად ოპოზიციურ პარტია „თავისუფალ დემოკრატებში“ იმყოფებიან ამ დღეს კიდევ ერთხელ განაცხადეს, რომ განსასჯელები უდანაშაულონი არიან. „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ თავის ყოფილ ხელქვეითებს ბიძინა ივანიშვილის „პირადი პატიმრები“ უწოდა.

განსასჯელის სკამზე ხუთი კაცია. ყველა მათგანი ღებულობდა მონაწილეობას შეთანხმების გაფორმებაში თავდაცვის სამინისტროსა და ერთ-ერთ ქართულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას შორის ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელისა და ქსელური აპარატურის შესყიდვის შესახებ. ხელშეკრულება დაიდო 2013 წლის დეკემბერში, შარშან ოქტომბერში კი ჩინოვნიკები დაიკავეს და ბრალი დასდეს ოთხი მილიონი ლარის გაფლანგვაში.

სასამართლო მოსმენა, რასაც ბრალდებულები ელოდებოდნენ რიკულებს მიღმა ხუთი თვის განმავლობაში, თითქმის უმალვე დაწყებიდან გადავიდა ფარულ რეჟიმში. შემდეგ კი მოსამართლემ მოულოდნელად განაცხადა სხდომის გადატანის შესახებ.

აი, ამასთან დაკავშირებით როგორი განცხადება გააკეთა ირაკლი ალასანიამ:

„ყველაზე სამწუხარო ჩვენთვის, ჩვენი ოჯახებისა და ბრალდებულთა მეგობრებისთვის არის ის, რომ ეს ხუთი კაცი კიდევ ორი კვირა უნდა იმყოფებოდეს პატიმრობაში. იმედი გვქონდა, რომ სასამართლო მათ დღეს გაათავისუფლებდა გუშაგებისგან. ძალიან ცუდია, რომ ჩვენ საქართველოში ვაწყდებით ჩრდილოკორეულ ტრადიციებს, სადაც, როდესაც ესა თუ ის

სისხლის სამართლის საქმე იწყება, ხალხს ბრალდებულთა როლისთვის ეძებენ უკვე ამის შემდეგ. როდესაც ეს ბატონ ივანიშვილს დასჭირდება, საქმეს ამა თუ იმ გვარებს მიაწებებენ“.

მოგვიანებით ბრალდებულთა ადვოკატმა ლევან სამუშიამ განმარტა, რომ გადაწყვეტილება გადატანის შესახებ მიღებულია რაღაც ტექნიკური შეცდომების გამო:

„საკითხი შეეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა საქმეთა არასწორი ნუმერაცია, საქმის ტომების შინაარსში აზრთა სხვადასხვაობა და ა.შ. ამგვარი პრობლემები გაუჩნდა ბრალდების მხარესაც, მაშინ, როდესაც ჩვენი მხრივ ყველაფერი წესრიგში იყო. ამიტომ სასმართლომ მისცა დამატებითი დრო, რათა წესრიგში მოიყვანონ დოკუმენტაცია. ეს ორი კვირაა. შემდეგი სხდომა 15 აპრილისთვისაა დანიშნული“.

თავის მხრივ, პროკურორმა ნინო აღლემაშვილმა დაუმატა, რომ ანალოგიური შეკითხვები მოსამართლეს გაუჩნდა არა მხოლოდ ბრალდების მისამართით, არამედ ადვოკატების მისამართითაც.

როგორც არ უნდა იყოს, სასამართლო პროცესი თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ჩინოვნიკების საქმესთან დაკავშირებით იმუქრება, გადაიზარდოს მეტად გახმაურებულ პოლიტიკურ დაპირისპირებაში კომპრომატების დამატებით. ეს დაიწყო 2 აპრილს. „თავისუფალმა დემოკრატებმა“ ქსელში მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი გაავრცელეს ე.წ. კაბელების საქმესთან დაკავშირებით. საქართველოს ზოგიერთ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ვიდეო რგოლი აჩვენეს სახელწოდებით: „ისინი ცუდად მიცნობენ“. ამ დამაშინებელ სიტყვებს წარმოთქვამს „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი, როდესაც საუბრობს ქვეყნის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობაზე.

ფილმში საუბარია იმ მოვლენებზე, რომლებიც წინ უსწრებდა თავდაცვის სამინისტროს ყოფილი ჩინოვნიკების დაკავებას. კადრში ალასანია ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ მისი ხელქვეითების დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს ხელისუფლება უცნობი მიზეზებით ცდილობდა, შეეშალა მისთვის ხელი, რომ ხელი არ მოეწერა შეთანხმებისთვის ფრანგულ მხარესთან საქართველოს მიერ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეძენის შესახებ. ალასანიას სიტყვებით, საფრანგეთში მას თავდაცვის ამჟამინდელმა მინისტრმა მინდია ჯანელიძემ დაურეკა, რომელსაც მაშინ პრემიერ-მინისტრთან არსებული უშიშროებისა და კრიზისების მართვის საბჭოს ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა, და სთხოვა — ხელი არ მოეწერა მემორანდუმისთვის.

„ის პრემიერ-მინისტრის სახელით მელაპარაკებოდა, თუმცა, იმ მიზეზის ახსნა, რომელთა მიხედვითაც ხელი არ უნდა მომეწერა საფრანგეთის მხარესთან ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის მიწოდების შესახებ, მან ვერ შეძლო. მე ვცდილობდი, დავკავშირებოდი პრემიერს, მაგრამ მითხრეს, რომ მას არ სცალია. მაშინ ვთხოვე მინდიას, კიდევ ერთხელ გასაუბრებოდა მთავრობის მეთაურს. 15 წუთის შემდეგ მან ხელახლა დამირეკა და მითხრა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ ამ ქაღალდს ხელი არ უნდა მოვაწეროთ და გამოვნახოთ რაიმე გონივრული გამოსავალი. მე ვუპასუხე, რომ ერთადერთი გონივრული გამოსავალია მემორანდუმისთვის ხელმოწერა“, — საუბრობს ალასანია ფილმში.

თავდაცვის მინისტრმა მინდია ჯანელიძემ ამ შეკითხვას გუშინ უპასუხა. მან ურჩია თავის წინამორბედს, ილაპარაკოს ცოტა, ვინაიდან საჯარო გამოსვლებმა ამ თემაზე, ჯანელიძის სიტყვებით, შეიძლება ზიანი მოუტანოს სახელმწიფოს.

„მინდა, ერთმნიშვნელოვნად დავაფიქსირო, რომ ეს პროცესი მიმდინარეობს მეტად წარმატებულად. და ამას ვამტკიცებ არა მხოლოდ მე, შეგიძლიათ, დაინტერესდეთ ექსპერტებთანაც, პასუხისმგებელ პირებთანაც, რომლებიც ჩართული არიან ამ საქმეში“, — ირიბად განაცხადა ჯანელიძემ.

ამავე დროს მან არ განმარტა, თუ კონკრეტულად რა პროცესზეა საუბარი და შეეხება თუ არა საუბარი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შეძენას. თავისი სურვილის უქონლობა, ისაუბროს დეტალებზე, ჯანელიძემ განმარტა სახელმწიფო ინტერესების დაცვის მოტივით.

Эхо Кавказа
ekhokavkaza.com

„FORBES“: „დრო, ვაშინგტონმა უარი თქვას საქართველოსა და უკრაინის მხარდაჭერაზე, რომლებიც აშშ-ის კმაყოფაზე არიან“

„უკვე დროა, ვაშინგტონმა უარი თქვას ისეთ მოკავშირეებზე, რომელთა მიმართ გამოჩენილ მხარდაჭერას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის არავითარი სარგებლობა არ მოაქვს“, — ნათქვამია აშშ-ის გავლენიან გამოცემაში — „Forbes“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში, რომლის ავტორია ჟურნალისტი დუგ ბენდოუ.

„თუ ამერიკა რომელიმე ომში ჩაერთვება, ეს ამა თუ იმ მოკავშირის ბრალი იქნება. შეერთებული შტატები თავის მოკავშირეებს ისეთი წესით აგროვებს, როგორც სოციალური ქსელის — „ფეისბუქის“ მომხმარებელი... ამასთან, ძალიან ბევრი ე.წ. მოკავშირე ვაშინგტონისათვის მძიმე ტვირთია, აშშ-ის უსაფრთხოებისათვის ზიანის მომტანი. ისინი ერთგვარ „დაყოვნებული მოქმედების ნაღმებს“ წარმოადგენენ ომის დაწყებისათვის“, — წერს ავტორი.

ჟურნალისტი აღნიშნავს, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები (მაგალითად, სენატორი მარკო რუბიო) თავიანთ მოკავშირეებს მუდმივად არწმუნებენ იმაში, რომ აშშ-ის მოქალაქეები მზად არიან, მათთვის თავი გაწირონ. ამით ისინი — ამერიკელი პოლიტიკოსები — საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებას და სიმდიდრეს სხვა სახელმწიფოების კეთილდღეობის სამსხვერპლოზე დებენ. მათ არასდროს ებადებათ კითხვა — მოაქვს თუ არა რაიმე სარგებელი ამერიკელებისათვის ამგვარ მოკავშირეობას. **„ვაშინგტონი მთელ მსოფლიოში ეძებს აშშ-ის კმაყოფაზე ყოფნის მსურველ ქვეყნებს. არადა, უკვე დროა, ამერიკამ უარი თქვას ისეთი სახელმწიფოების შენახვაზე, რომლებიც სინამდვილეში მისი მოკავშირეები არ არიან. ამერიკა უნდა დაუბრუნდეს მოკავშირეობის ტრადიციულ გაგებას, როცა თანამშრომლობა საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოების სასარგებლოდ ხორციელდება. დღეს ჩვენ ასეთ მომენტებს ვერ ვხედავთ“,** — ასკვნის დუგ ბენდოუ.

ავტორი ამერიკის კმაყოფაზე მყოფ ქვეყნებს შორის ასახელებს უკრაინას და საქართველოს: **„უკრაინის შემთხვევაში, თუ მას იარაღს მიაწოდებს, ბარაკ ობამა იძულებული ხდება, ეს ქვეყანა თავის მოკავშირედ განიხილოს და მოკავშირულად მოექცეს, მაგრამ უკრაინა ამერიკის მოკავშირე არ არის. ამ ყველაფერმა შეიძლება ომამდე მიიყვანოს ისეთ სახელმწიფოსთან, რომელსაც ბირთვული იარაღი აქვს (იგულისხმება რუსეთი — ს.ჯ.). თუ უკრაინა და საქართველო NATO-ს წევრები გახდებიან, ამით სიტუაცია კიდევ უფრო გაუარესდება და მწვავე დაპირისპირების გამოცდამდე მიგვიყვანს — აბა, რომელია სუსტი და რომელი დაიხევს უკან პირველიო. ამის გაკეთება არაფრით არ შეიძლება. ნახსენები ქვეყნებიდან აშშ-ის უსაფრთხოებისათვის განსაკუთრებული ინტერესის ობიექტს არც ერთი არ წარმოადგენს... საერთოდ, თავისი აღმოსავლური მიჯნები ევროპამ თვითონ უნდა დაიცვას და არა ამერიკამ“,** — ასე მიაჩნია ამერიკელ ჟურნალისტს.

„ალიანსები ურთიერთინტერესების საფუძველზე იქმნება და არა ქველმოქმედების მიზნით, ამიტომაც ამ ქვეყნებისათვის მნიშვნელოვანი დახმარების გაწევას აზრი არ აქვს“, — ასკვნის დუგ ბენდოუ სტატიაში.

მოამზადა სიმონ კილაძემ,
„რეპორტიორის“ ანალიტიკური სამსახურის
ხელმძღვანელმა

დედამიწის ზურგზე

თურქეთში 9 ბრიტანელი დაიკავეს, რომლებიც სირიასთან საზღვრის გადაკვეთას უკანონოდ ცდილობდნენ

დამრღვევთა რიცხვში, რომლებიც სავარაუდოდ აპირებდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებს მიერთებოდნენ, აღმოჩნდა ორი ქალი და ოთხი ბავშვი. ელოდებიან, რომ მათ სამშობლოში მალე დააბრუნებენ.

* * *

კანადამ პოლონეთში ევროპის ზონაში ნატოს ძალების გაზრდის ფარგლებში დაიწყო სწავლება

აპრილში კანადელი სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთში „მთის მებრძოლის“ ერთობლივ სწავლებაში. ამრიგად, ოტავას განზრახული აქვს წარმოაჩინოს კოლექტიური თავდაცვისკენ მიდრეკილება და „რუსული აგრესიის“ დაგმობა უკრაინასთან დაკავშირებით, განაცხადა კანადის თავდაცვის მინისტრმა ჯეისონ კენიმ.

* * *

შეიარაღებულმა ნიღბიანმა ადამიანებმა კენიაში უნივერსიტეტის კოლეჯი ჩაიგდეს ხელში

ბოევიკები ქალაქ გარისში კამპუსის ტერიტორიაზე დაახლოებით დილის 5 საათზე შეიჭრნენ, დახოცეს მცველები. თავდამსხმელთა ზუსტი რიცხვი უცნობია, მაგრამ ისინი შეიძლება ათზე მეტი ყოფილიყვნენ. ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები იტყობინებიან მძევლების ხელში ჩაგდების შესახებ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, არის მონაცემები დაღუპულთა და დაჭრილთა შესახებ. პასუხისმგებლობა თავდასხმაზე სომალის დაჯგუფება „აშ-შაბაბმა“ იკისრა.

* * *

კალიფორნიის გუბერნატორმა ბრძანა, ერთი მეოთხედით შეამციროონ წყლის მოხმარება

შტატი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში ლიდერად ითვლება, განიცდის მრავალწლიან გვალვას. მაგრამ ლიმიტების გამკაცრება წყლის მოხმარებაზე არის ზომა, რომელსაც შტატის ხელისუფლებამ პირველად მიმართა.

ჟიჟილაშვილის ფოლადისებრი შემართება

წილად მხვდა ბედნიერება, არა მხოლოდ გავცნობოდი დიდი სამამულო ომის ლეგენდარულ მონაწილეს, არამედ ვყოფილიყავი მოსკოვში მის ბინაში, აგრეთვე საგვარეულო სახლშიც დაბა ქსანში, რაიონულ ცენტრ კასპის მახლობლად, სადაც ის დაიბადა და დავაჟკაცდა.

შალვა ნიკოლოზის ძე ჟიჟილაშვილმა თავისი ერუდიციით, პატრიოტიზმით, თავდამბლობით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. იქნებ მისი სწორედ ეს თავმდაბლობა იყო კიდეც მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოში ძალიან ცოტამ თუ იცის მისი ბრწყინვალე და არაორდინარული ცხოვრების, მისი გმირობის შესახებ იმ საშინელი და სისხლიანი ომის წლებში. წლების განმავლობაში ჩემი არქივიც ივსებოდა ახალი ფაქტებითა და ცნობებით გენერალ-ლეიტენანტ შალვა ჟიჟილაშვილის სახელოვანი ბიოგრაფიიდან.

ამ სტატიის გმირის შესახებ პირველად გავიგე საინჟინრო ჯარების მარშალ არჩილ გელოვანისგან, როდესაც ის სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე იყო. მაშინ, გასული საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდში, „თბილისობის“ დღესასწაულის დროს, ბატონმა არჩილმა, როდესაც შალვა ჟიჟილაშვილზე საუბრობდა, ღიმილით აღნიშნა, რომ თავისი პირველი და მეორე გენერლის წოდება მასზე გვიან მიიღო, თუმცა, ისინი თითქმის თანატოლები იყვნენ. ეს ბევრ რამეზე მეტყველებს...

მეორე მსოფლიო ომის12-ტომიან ისტორიაში შ.ჟიჟილაშვილი ნახსენებია საქართველოდან ომის ცხრა მონაწილეს შორის. ჩვენ თანამემამულეს – ერთადერთ ქართველს, ომის მონაწილე სარკინიგზო ჯარების ექვს ცნობილ ვეტერანს შორის ხვდა პატივი გადაეღო ფოტო გამარჯვების დროშასთან. და კიდევ: ომის შუა პერიოდში შალვა ჟიჟილაშვილს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. ის იყო ერთადერთი ქართველი ქვეყნის სარკინიგზო ჯარების28 წარმომადგენელს შორის, რომლებმაც ომის წლებში გმირის წოდება მიიღეს. და კიდევ მრავალგზის შეიძლება აღინიშნოს, რომ შ.ჟიჟილაშვილი იყო სადღაც პირველი, და სადღაც ერთადერთი. ასეთი იყო იგი და ასეთად დარჩა ცხოვრებაში.

შალვა ნიკოლოზის ძე ჟიჟილაშვილი დაიბადა დაბა ქსანში, რკინიგზელის ოჯახში. მამამისი რკინიგზის მუშად მუშაობდა 42 წელი, დედა –ეფემია გზის მცველი იყო. მათ ოთხი შვილი გაზარდეს, და ყველა მათგანი რკინიგზელი გახდა. ოჯახის ყოველგვარი ბედნიერებაც და გაჭირვებაც, ყველა საზრუნავი რკინიგზასთან იყო დაკავშირებული. ვინ იცის, რამდენჯერ გამოქცეულა პატარა შალვა სახლიდან, რომ სატვირთო და სწრაფი მატარებლები გაეცილებინა, რამდენჯერ დაუქნევია ხელი მგზავრებისთვის, რამდენჯერ მოიზომა მამის წითელძირიანი ქუდი იმის იმედით, რომ ამნაირი მასაც ექნებოდა.

... 1934 წლის თებერვალში შალვა არმიაში გაიწვიეს. როდესაც იქ გაიგეს მისი თბილისის სარკინიგზო ტექნიკუმის დიპლომის შესახებ, შორეულ აღმოსავლეთში, სარკინიგზო პოლკში გაგზავნეს. ასე დაიწყო ჩვენი თანამემამულის არმიული ცხოვრება, რომელიც მთელი ოთხი ათეული წელიწადი გრძელდებოდა. შორეულ აღმოსავლეთში ხუთი წელიწადი იყო. ამ პერიოდში დაოჯახდა კიდეც, ცოლად მოიყვანა უბრალო მუშის ქალიშვილი. თუ მოვლენებს გავუსწრებთ, აღვნიშნავთ, რომ ჩვენი თანამემამულე არჩევანში არ შემცდარა. მისმა მეუღლემ გაიარა ფრონტის გზები, იყო და დარჩა ერთგული და მზრუნველი მეგობარი...

1941 წლის 22 ივნისს, მიუხედავად კვირა დღისა, წითელი არმიის ლენინგრადის საინტენდანტო აკადემიის მსმენელები გამოცდებს აბარებდნენ სამხედრო ტოპოგრაფიაში მეორე კურსისთვის. შალვა ჟიჟილაშვილმა – აკადემიის ერთადერთმა ქართველმა მსმენელმა უკვე უპასუხა ყველა კითხვას, როდესაც დერეფანში ხმაური გაისმა: ვიღაც აღელვებული ლაპარაკობდა ომის დაწყების შესახებ, მოხდა ის, რისთვისაც მთელი ქვეყანა ფარულად ემზადებოდა. მასწავლებელმა, რომელიც გამოცდებს იბარებდა, შემდეგი სიტყვებით მიმართა ახალგაზრდა ქართველ ოფიცერს: „ხუთიანს გიწერ, შვილო, და ეცადე, საბრძოლო საქმეებით გაამართლო ეს შეფასება“.

ასე დაიწყო შალვა ჟიჟილაშვილისთვის ომი. რკინიგზის ჯარისკაცებს ურთულეს ვითარებაში უწევდათ მოქმედება: ფრონტისპირა სადგურები გადაჭედილი იყო ევაკუირებული ტვირთის შემადგენლობებით, გზების, ეშელონების, სადგურების თავზე ფაშისტური თვითმფრინავები ტრიალებდნენ. პანიკა, შიში, გაურკვევლობა – ყველაფერი კონცენტრირებული იყო რკინიგზის სადგურებზე, გზებზე, პატარა პლატფორმებზე. მაგრამ სარდლობის ყველა ბრძანებას შ.ჟიჟილაშვილის ბატალიონი ზუსტად ასრულებდა. ბატალიონის ქართველი მეთაური მოქმედებდა მშვიდად, საქმის ცოდნით, ყოველთვის ზრუნავდა არა მხოლოდ ბრძანებების შესრულებისთვის, არამედ მისთვის მინდობილი ყოველი მებრძოლის უსაფრთხოებისთვისაც. ყოველივე ძალიან ძნელი და მძიმე იყო ომის დასაწყისში, თუმცა, ათჯერ უფრო მძიმე – მოგვიანებით. ბევრი ეპიზოდის შესახებ მიამბო ბატონმა შალვამ, ყველაფერს ვერ აღვწერ საგაზეთო პუბლიკაციაში. მხოლოდ ზოგიერთ მათგანს შევეხები.

ბრიანსკის ოპერაციის პერიოდში, ეს კი 1943 წლის სექტემბერი იყო, მაიორმა შ.ჟიჟილაშვილმა მიიღო ბრძანება, აღედგინა ბრიანსკ-ნეველის სარკინიგზო ხაზის მონაკვეთი 18 კილომეტრის სიგრძეზე, აგრეთვე – შვიდი ხელოვნური ნაგებობა. ვადა 10 (!) დღე იყო. თითქოსდა, უაზრობაა ამ მოკლე დროში შეასრულო ასეთი სამუშაო. დავალებას ართულებდა ისიც, რომ ბევრი მონაკვეთი გერმანელების მიერ დანაღმული იყო. აფეთქებდნენ ხიდებსა და ლიანდაგებს, ანადგურებდნენ კავშირგაბმულობის ხაზებს. მარტო ბრიანსკის ფრონტის სარკინიგზო ხაზებზე, სადაც მაიორ ჟიჟილაშვილის მებრძოლები მოქმედებდნენ, გამნაღმველებმა 9.585 ნაღმი გააუვნებლეს. საბჭოთა სამხედრო რკინიგზელების ტიტანური შრომა გაოცებას იწვევდა. აი, რას წერდა 1943 წელს ინგლისელი სარკინიგზო სპეციალისტი უნტფორტი: „... ნამდვილი სიძნელე რუსებისთვის ჩნდება, როდესაც იწყება სწრაფი შეტევა და კვლავ აიღებენ დიდ რაიონებს. 1943 წლის აგვისტო-სექტემბრის შეტევამ რუსი რკინიგზელებისთვის შეიძლება კიდევ მეტი სირთულე შექმნას, ვიდრე 1941-1942 წლების უკან დახევამ“.

ბატალიონი ქართველი ოფიცრის მეთაურობით მუშაობდა ძილისა და დასვენების გარეშე, კოკისპირულ წვიმაში. შემადგენლობები გზებს ელოდებოდნენ, ამიტომ რკინიგზის მუშაკები თავგამოდებითა და მკაცრად ჭრიდნენ, ადუღებდნენ, „კერავდნენ“ ლიანდაგებს, მეხიდეები აღადგენდნენ ხელოვნურ ნაგებობებს. და ბატალიონის მებრძოლები, რომლებიც ცვლაში ყოველთვის ორ-სამ ნორმას ასრულებდნენ, ახლა დღეებისა და ღამეების განმავლობაში რჩებოდნენ ადგილზე, მათთან იყო მეთაურიც. დავალება ხუთ დღეში შეასრულეს! პირდაპირ ფანტასტიკაა!

ბრიგადის უფროსის ახალი ბრძანება. და კიდევ ერთი მონაკვეთი აღდგა ნანგრევებიდან, ერთი ხიდიც აღიმართა ფლატეზე. გონს მოსული, გაუპარსავი მებრძოლები იდგნენ წყვდიადში თავიანთი ბატალიონის მეთაურის წინ და ისმენდნენ ამ ათი დღის განმავლობაში მესამე საგანგებო ბრძანებას: ხვალისთვის უნდა აღდგეს 28-მეტრიანი ხიდი (!). ამ ადგილას რკინიგზა ერთადერთი არტერია იყო, რომელიც უზრუნველყოფდა ფრონტის შემტევ ჯარებს სიცოცხლისა და ბრძოლისთვის ყოველივე აუცილებლით. ათობით ათასი კაცის სიცოცხლე რკინიგზელებზე იყო დამოკიდებული.

და ბატალიონის მეთაურს კოცონის შუქზე მოეჩვენა გაოცება მებრძოლთა სახეებზე და მუნჯი შეკითხვა. თუმცა, მხოლოდ ერთი წამით. შალვა ჟიჟილაშვილი იცნობდა მათ და სჯეროდათ მათი, როგორც მათ სწამდათ მისი, თავიანთი მეთაურისა, სამართლიანისა და ჭკვიანისა, მამაცისა და მშობლიური ადამიანისა. და როგორ უნდოდა მაშინ წამოეძახა გამამხნევებლად: „ცოტა კიდევ მოიცადეთ, საყვარლებო! მალე იქნება დასასრული!“ მაგრამ მას ამის უფლება არ ჰქონდა. დასასრულამდე ჯერ შორი იყო. მან მხოლოდ ეს თქვა: „ძმებო, გთხოვთ, კიდევ ერთხელ შევუტიოთ...“

1943 წლის 5 ნოემბერს მაიორ შ.ჟიჟილაშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, სწორედ ისეთებს, როგორიც ჩვენი გმირია, საბჭოთა კავშირ-ამერიკულ დოკუმენტურ ფილმში „უცნობი ომი აღმოსავლეთში“ მთელი სერია მიეძღვნა. საბჭოთა მებრძოლ რკინიგზელთა მხრებს დააწვა წარმოუდგენელი სირთულეები ფრონტსა და ზურგში.

1944 წელი. საბჭოთა ჯარები ბრძოლებით მიიწევდნენ დასავლეთისკენ. მათთან ერთად იყვნენ სარკინიგზო ჯარების ნაწილები, რომლებსაც განსაკუთრებით უჭირდათ ზამთრის პერიოდში. ყინვისგან ხელისგულებზე კანი სკდებოდა, ყინულოვან ქარში ვეღარ მუშაობდა ტექნიკა. მინასავით იმსხვრეოდა გაყინული ტანსაცმელი. მაგრამ გადასარბენი გადასარბენზე ჯიუტად მიიწევდა ზევით და ზევით წყლის დაბრკოლებებზე. უკვე უკან დარჩა სტალინგრადი, რომლის გათავისუფლებაში მნიშვნელოვანი წვლილი სარკინიგზო ჯარებმაც შეიტანეს.

როგორც შალვა ჟიჟილაშვილი იგონებდა, მაშინ, ყველაზე კრიტიკულ მომენტში, იქ გაიგზავნა სსრ კავშირის მიმოსვლის გზათა სახალხო კომისრის მაშინდელი მოადგილე ი.დ.გოცირიძე, რომელიც ი.ბ.სტალინის ბრძანებით იძულებული იყო, შეეცვალა პროფილი სარკინიგზო ჯარების ნაწილისთვის და ჩვეულებრივ მსროლელ ქვედანაყოფად გადაეკეთებინა. ის განუშორებლად იყო მათთან სტალინგრადის ბრძოლის დამთავრებამდე – ესეც ომის კიდევ ერთი უცნობი ფურცელია.

უკან დარჩა გრანდიოზული ბრძოლაც კავკასიისთვის, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი ამიერკავკასიის რკინიგზის (1938-დან 1954 წლამდე) და შემდეგ ყირიმის ფრონტის (1942-1943 წ.წ.) მაშინდელმა უფროსმა გ.ს.კიკნაძემ შეიტანა, ვისაც 1943 წლის 17 ოქტომბერს სოციალისტური შრომის გმირის, აგრეთვე იმავე წლის 4 სექტემბერს დაწესებული მიმოსვლის გზათა I რანგის გენერალ-დირექტორის სპეციალური წოდება მიანიჭეს. უკან დარჩა 1943 წლის 7 ნოემბერს უკრაინის დედაქალაქ კიევის, აგრეთვე უკრაინის მთელი მარცხენა სანაპიროს გათავისუფლება.

სწორედ ამ დიდ გამარჯვებებს ულოცავდნენ სტალინს თეირანის საერთაშორისო კონფერენციაზე რუზველტი და ჩერჩილი. მაშინ მთელი მსოფლიო აღნიშნავდა გმირული წითელი არმიისა და მისი განუყოფელი ნაწილის – სარკინიგზო ჯარების გამარჯვებას...

„ომის დასასრულისთვის, – გვიამბობს ბატონი შალვა, რომელსაც 1944 წლის ოქტომბერში პოლკოვნიკის წოდება მიანიჭეს და ბრიგადის მეთაურად დანიშნეს, – ფაშისტები სულ უფრო გაიწაფნენ რკინიგზის ნგრევაში. უზარმაზარი ზარალი მოჰქონდა ჩვენთვის ფაშისტების მიერ გზის განსაკუთრებული დამანგრევლის, ეგრეთ წოდებული „კაუჭის“ გამოყენებას. ორთქლმავალზე მიბმული „კაუჭი“ ჭრიდა შპალებს, რელსები იშლებოდა და გამოუსადეგარი ხდებოდა. ცალკეულ მონაკვეთებზე, – განაგრძობდა ჟიჟილაშვილი, – ჰიტლერელები შლიდნენ ლიანდაგებს, შპალებს კი უჯრედებად ალაგებდნენ 100-100 ცალად. ასეთ უჯრედებზე აწყობდნენ 10-12 რელსს, უჯრედებზე ბენზინს ასხამდნენ და წვავდნენ, ცეცხლისგან რელსები იგრიხებოდა და შემდგომი გამოყენებისთვის გამოუსადეგარი ხდებოდა. ფაშისტები იყენებდნენ რელსების ეგრეთ წოდებული გაღუნვის ხერხს. რის შედეგადაც მათი შემდგომი გამოყენებაც ასევე შეუძლებელი იყო. ასეთი იყო ჰიტლერის მიერ გამოცხადებული „სალიანდაგო ომი“.

... დამთავრდა ომი. მაგრამ გამარჯვებასთან ერთად არ დამთავრებულა ჩვენი გმირის საბრძოლო საქმეები. შ.ჟიჟილაშვილი ორი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა უკრაინაში რკინიგზის აღდგენით სამუშაოებს. 1947 წელს მან, როგორც იქნა, შეძლო დაბრუნებოდა მშობლიურ აკადემიას, სადაც მეცადინეობა ომმა შეაწყვეტინა. 1950 წელს, აკადემიის დამთავრების შემდეგ, ის დაინიშნა კორპუსის მეთაურის მოადგილედ. მსახურობდა სარკინიგზო ჯარებში ყაზახეთში, ჩიტაში, ირკუტსკში, სვერდლოვსკში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებული სამუშაოები ყოველთვის ერთ შეფასებას იმსახურებდა – „ფრიადი“.

1954 წელს, 40 წლის ასაკში, შ.ჟიჟილაშვილს მიენიჭა ტექნიკური ჯარების გენერალ-მაიორის წოდება. 1959 წლამდე ქართველი გენერალი მსახურობდა ყაზახეთში, სადაც კეთილი ხსოვნა დატოვა. შემდეგ იყო ახალი დანიშვნა უკრაინაში, სადაც ომის წლებში მან ბევრი რამ გააკეთა, ზოგჯერ – შეუძლებელიც. უკრაინის მიწაზე კორპუსის მეთაურს შ.ჟიჟილაშვილს 1962 წელს მიენიჭა ტექნიკური ჯარების გენერალ-ლეიტენანტის მორიგი წოდება, რომელიც არც მანამდე, არც მის შემდეგ არც ერთ ჩვენ თანამემამულეს არ ჰქონია. ის ასევე ერთადერთია საქართველოდან, ვინც იყო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სარკინიგზო ჯარების შტაბის უფროსი. ცხრა წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო ამ მაღალ თანამდებობაზე (1964 წლის მაისიდან 1973 წლის სექტემბრამდე).

არმიაში ორმოცი კალენდარული წლის სამსახურის პერიოდში კასპელმა ჭაბუკმა გაიარა გმირული გზა რიგითი ჯარისკაცი-დან გენერალ-ლეიტენანტამდე. მის მუნდირს ამშვენებდა ლენინის, საბრძოლო წითელი დროშის ორდენები, სამამულო ომის I ხარისხის ორი ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, ორი წითელი ვარსკვლავის ორდენი, 16 მედალი.

ორმოცი წლის წინათ გენერალი ჟიჟილაშვილი გადადგა, მაგრამ სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მასზე იყო დიდი მოთხოვნა, როგორც გამოჩენილ სპეციალისტსა და ორგანიზატორზე. მისი სახელი მიკუთვნებული აქვს ქუჩებს ციმბირში, უკრაინაში.

სახელგანთქმული გენერლის ვაჟი – ნიკოლოზ შალვას ძე ჟიჟილაშვილი – მამის კვალს გაჰყვა. ბაიკალ-ამურის მაგისტრალზე სამხედრო სამსახურის გავლის დროს მან სარდლობისგან მრავალი მადლობა დაიმსახურა. შემდეგ როგორც მამამისმა დაამთავრა იგივე სამხედრო აკადემია ლენინგრადში, იგივე ხიდების მშენებლობის ფაკულტეტი. გახდა მაიორი, ორდენოსანი, პატივსაცემი ოფიცერი. 1987 წლის გაზაფხულის დასაწყისში ჟიჟილაშვილის ოჯახს თავს საშინელი ტრაგედია დაატყდა: საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა ჟიჟილაშვილი-უმცროსი – მოხუცი მშობლების იმედი და საყრდენი.

გენერალი შ.ჟიჟილაშვილი მშობლიურ საქართველოდან 1934 წელს წავიდა, თუმცა, არასოდეს გაუწყვეტია მასთან ყველაზე ცოცხალი ურთიერთობა. ცდილობდა ყოველი შვებულება საქართველოში გაეტარებინა, კასპის რაიონში, სოფელ კავთისხევში, სადაც პატარა სახლი შეიძინა. ჭაღარა ვეტერანი ოცნებობდა სიცოცხლის დარჩენილი დღეები თანასოფლელებთან გაეტარებინა. სამუდამოდ დარჩენილიყო კავთისხევში. თუმცა, მოვლენები მის სასარგებლოდ არ განვითარებულა. პერიოდულად ვურეკავდი ხოლმე ბატონ შალვას და ყოველი დარეკვის დროს სულ უფრო და უფრო ვგრძნობდი ნოსტალგიურ გრძნობებს მის ხმაში.

1992 წლის 28 დეკემბერს ომის ლეგენდარული გმირის გულმა ფეთქვა შეწყვიტა. ის პატივით დაკრძალეს მოსკოვში, პრეობრაჟენსკის სასაფლაოზე.

2015 წლის 20 თებერვალს ფოლადის მაგისტრალების გმირის შალვა ნიკოლოზის ძე ჟიჟილაშვილის დაბადებიდან 101 წელი შესრულდა, ღირსების, მაღალი ზნეობის ადამიანისა, ვინც მთელი ცხოვრების მანძილზე გულით საქართველოს დაუოკებელ სიყვარულს ატარებდა.

ლევან დოლიძე,
საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

◎ კადრები

ლევან ყიფიანმა ახალი მოადგილე – ნუგზარ კევლიშვილი წარადგინა

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლევან ყიფიანმა სამინისტროს აპარატის თანამშრომლებსა და სსიპების წარმომადგენლებს ახალი მინისტრის მოადგილე – ნუგზარ კევლიშვილი წარუდგინა.

ნუგზარ კევლიშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე პრემიერ-მინისტრის 2015 წლის 25 მარტის ბრძანებით დაინიშნა.

იგი ასევე შეითავსებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ უფროსის თანამდებობას, რომელსაც 2013 წლიდან იკავებს.

ბეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

რუსების შავი დღე ევროთასზე

ყაზანის „უნიქსმა“, რომელსაც ტრავმირებული ქართველი ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე კვლავაც ვერაფრით ეხმარება, შინ ესპანური „გრან კანარია“ მიიღო და მოულოდნელი მარცხი განიცადა – 70:83.

რუსულ კლუბში ყველაზე შედეგიანები ბიკოვი (17 ქულა) და ჯერელსი (15) იყვნენ, სტუმართა მხრიდან კი ტავარესმა ორმაგი დუბლი (12 ქულა, 11 მოხსნა) შეასრულა.

უფრო დაძაბული იყო თურქეთში გამართული მატჩი, რომელშიც „ბანვითმა“ „ხიმკის“ 83:82 სძლია. მოედანზე საუკეთესონი ამერიკელები იყვნენ: მასპინძელმა როულენდმა 21 ქულა მოაგროვა, ხიმკელთა ლეგიონერმა რაისმა კი 22 ქულა ჩააგდო.

განმეორებითი მატჩები 8 აპრილს შედგება და ევროთასის ფინალისტთა ვინაობასაც შევიტყობთ.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ამერიკელი სენატორები სლავურ მუნდიალს ეწინააღმდეგებიან

ამერიკელი სენატორების განცხადებით, რუსეთს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება უნდა ჩამოერთვას. ამის მთავარ მიზეზად დონბასში წარმოებულ საბრძოლო მოქმედებებს და ყირიმის ანექსიას ასახელებენ. ამერიკელმა სენატორებმა ფიფას პრეზიდენტ ზეპ ბლატერს ღია წერილით მიმართეს.

„რუსეთს მიეცა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება, რაც მის პრესტიჟს აძლიერებს. ვლადიმერ პუტინის ქმედებები გაუმართლებელია. უკრაინაში წარმოებული საბრძოლო ქმედებების გამო მისი სახელმწიფო ეკონომიკურ სანქციებს იმსახურებს. მიუხედავად ამისა, რუსეთს მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის უფლება მიეცა, რაც მსოფლიოს ფეხბურთის მმართველი ორგანოსთვის მიუღებელი უნდა იყოს“, – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც ხელს ამერიკელი სენატორები რობერტ მენენდესი, რონ ჯონსონი, ჯონ მაკკეინი და რიჩარდ დურბინი აწერენ.

გიორგი შოთაძე

◎ მოვლენის წინ

სისტემა ამუშავდა!

„აფერუმ იმ ოჯახებს, რომელთაც ეს ბიჭები დაზარდეს!“

ქართული სარაგბო სამყარო ხვალისთვის დაგეგმილი 18-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალის მოლოდინშია, რომელშიც უმცროსი „ბორჯღალოსნები“ მასპინძელ საფრანგეთს შეერკინებიან.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გადამწყვეტი მატჩი თბილისის დროით 19 საათზე ტულუზის სტადიონ „ერნესტ ვალონზე“ დაიწყება და მის პირდაპირ ტრანსლაციას საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი გადმოსცემს.

მანამდე კი საქართველოს რაგბის კავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე იტალიასთან მატჩის გამოხმაურება გამოქვეყნდა. შეგახსენებთ, რომ ევროპირველობის ნახევარფინალური მატჩი 6:6 დასრულდა, ე.წ. „შუთ-აუთში“ კი ქართველმა მორაგბეებმა 5:4 მოიგეს.

„თითქმის დაუჯერებელია! საქართველო და საფრანგეთი ფინალში არიან, მესამე ადგილისთვის კი ინგლისი და იტალია იბრძოლებენ... ფინალში ვართ! ეს უდავოდ ქართველი მორაგბეების ამდენი თაობის და წლების შრომამ მოიტანა. სისტემა შეიქმნა, ამუშავდა და უხეშად რომ ვთქვათ, პროდუქციის გამოშვება დაიწყო“, – განაცხადა საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **გიორგი ნიჟარაძემ.**

დავით ჩავლეიშვილი (18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „სიტყვები არ მყოფნის! ბიჭებმა ისეთი რამ გააკეთეს, ისეთი თამაში მოიგეს და ისე იბრძოლეს, რომ ნამდვილი გმირები არიან! უცუდეს ამინდში ყველამ ბოლომდე იბრძოლა ძალიან მძიმე და ძლიერი გუნდის წინააღმდეგ. ბიჭებმა, ვინც დაიწყო და ვინც შეცვლაზე შემოვიდა, ყველაფერი დადეს ამ თამაშში, ყველამ მაქსიმუმის მაქსიმუმი გააკეთა. აფერუმ იმ ოჯახებს, რომელთაც ეს ბიჭები დაზარდეს!

რაც მთავარია, სწორი და ძლიერი დაცვით შევძელით მეტოქის ყველა მონახაზისა და გეგმის ჩაშლა. ბიჭები ძალიან მაგრად დაუდგნენ მოწინააღმდეგეს და თამაშამდე მიღებული დავალება ბოლომდე და უშეცდომოდ შეასრულეს. ფინალში ვართ და ახლა გაათასმაგებული მოტივაციითა და შემართებით შევუდგებით მზადებას!

ასმაგად სასიამოვნო იყო ის ფაქტი, რომ ტრიბუნებიდან გვქომაგობდნენ აქ მცხოვრები ქართველები და, რაც მთავარია, ეროვნული ნაკრების მოთამაშეები. ამან ბიჭებს მეტი სტიმული მისცა. თამაშის მერე „ბორჯღალოსნები“ 18-წლამდელებს შეხვდნენ და დერეფანი მოუწყვეს! მინდა ბიჭების სახელით დიდი მადლობა გადავუხადო სტადიონზე მოსულ ქართველებს და ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრებს“.

ლაშა ხურციძე (რაგბის კავშირის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე): „ბიჭებმა საოცარი საბრძოლო სულიკვეთება გამოავლინეს. მიუხედავად იმისა, რომ პირველი თამაში მათთვის უკვე დიდი წარმატება იყო, დამშვიდდნენ და მეორე თამაში, ფაქტიურად, როგორც პროფესიონალებმა, ისე ითამაშეს. მათ ამ შედეგს თავდაუზოგავი შრომის ხარჯზე მიაღწიეს. ვფიქრობ, რომ თუ ვერტიკალზე სწორი მუშაობა გაგრძელდება, მსგავს მოვლენებს მომავალში უფრო ხშირი და სტაბილური სახე მიეცემა. კიდევ უფრო გასაოცარია, რომ ეს არის ქართული რაგბის მომავალი, რომელმაც მოუგო ირლანდიისა და იტალიის რაგბის მომავალს, ფრანგული რაგბის მომავალს კი ფინალში ერკინება“.

კოგა კოგახიძე

◎ ჩოგბურთი

პირველი ნახევარფინალური წყვილი მარეიმ და ბერდიხმა შეადგინეს

აშშ-ის ფლორიდის შტატის მაიამის „მასტერზ 1000“-ის მამაკაცთა ერთეულთა ტურნირის პირველი ნახევარფინალური წყვილი ბრიტანელმა ენდი მარეიმ და ჩეხმა ტომაშ ბერდიხმა შეადგინეს. მეოთხედფინალში მარეიმ ავსტრიელ დომინიკ ტიმს 3:6, 6:4, 6:1 მოუგო, ხოლო ბერდიხმა არგენტინელ ხუან მონაკოს 6:3, 6:4 სძლია.

რეიტინგსიის მეოთხე ნომერ მარეისა და ტიმის ორთაბრძოლა საათსა და 44 წუთს გაგრძელდა. 27 წლის შოტლანდიელმა 4 ბრეიკი, 6 ეისი შეასრულა და 21 წლის ავსტრიელთან პირადი შეხვედრების ანგარიში 2:0 გახადა.

მსოფლიო კლასიფიკაციის მეცხრე ნომერმა ბერდიხმა საათნახევარში გატეხა მონაკოს წინააღმდეგობა. საჩოგბურთო კარიერის განმავლობაში ბერდიხი მეშვიდედ შეხვდა მონაკოს და მეშვიდედაც მოახერხა მისი დამარცხება.

ბერდიხი წლეულს მეხუთე ნახევარფინალს ითამაშებს. ამ მხრივ ტომაში მიმდინარე სეზონის რეკორდსმენია. 4 ნახევარფინალიდან მან ორში იმარჯვა, თუმცა, 2015-ში ჯერჯერობით ტიტული არ მოუპოვებია.

როგორც მოსალოდნელი იყო, ქალთა ფინალში მასპინძელი სერენა უილიამსი და რუმინელი სიმონა ჰალეპი გავიდნენ.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ინტერნეტიდან

მარად აქტუალური ვალენტინა ძამბროტა

ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელის ჯანლუკა ძამბროტას მეუღლე ვალენტინა ძამბროტა, რომელსაც მოფერებით ჩვენებურად „ქალბატონი ძუძუმთაც“ შეგვიძლია ვუწოდოთ, არადა არ კარგავს პოპულარობას და აქტუალურობას და მისი პერსონით არა მხოლოდ იტალიის, არამედ მთელი ევროპის ბულვარული მედია ყოველთვის ინტერესდება.

აქ საქმე მხოლოდ ამ ქალბატონის მკერდგანიერობაში არაა, რადგან ევროპის მრავლისმნახველ მიწას „ძუძუმთაც“ ბევრი ახსოვს და მთლად მკერდის გარეშე მყოფნიც. თავად ვალენტინაა ისეთი ქალი, რომელიც ტკბება ყურადღების ცენტრში ყოფნით და შანსს არ უშვებს ხელიდან, მედიას რაიმე დაშხოშიანი რომ არ უთხრას.

მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ ვალენტინამ განაცხადა, რომ მისი ქმარი ავტობიოგრაფიული წიგნის დაწერას აპირებდა, მაგრამ გადააფიქრებინა, რადგან დიდი იმედი არ აქვს, რომ წიგნი გაიყიდება. ასეთ თემებზე ღიად, როგორც წესი, არ საუბრობენ, მაგრამ ეს ის ქალია, რომელსაც მსგავსი „ჭეშმარიტებები“ არ ეხება.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ გაზმომარაგება

ზარალი ნაკლები რომ იყოს

(მეექვსე გვერდიდან)

ამდენად, გაზგამანაწილებელ ქსელებში ბუნებრივი გაზის დანაკარგების არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, სემეკმა საჭიროდ მიიჩნია ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების ახალი წესის შემუშავება. **ამ რეგულაციით, მომავალი წლიდან ლიცენზიატებს ნორმატიული დანაკარგების ახალი ზღვარი დაუდგინდათ, რომელიც ახალი მეთოდოლოგიით ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფების პარალელურად იმოქმედებს.**

გაზგამანაწილებელ ქსელში ნორმატიული დანაკარგების გაანგარიშების ახალი წესის შემოღება უფრო მეტად თვალსაჩინო რომ გახდეს, რამდენიმე ციფრს მოვიყვანთ: კერძოდ, სემეკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, 2013 წელს ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელში დანაკარგების ოდენობამ გაზის მთელი მოცულობის 11 პროცენტი შეადგინა, რაც 105 მილიონ კუბურ მეტრ ენერგოშემცველს წარმოადგენს. ამასთან, აღნიშნავენ იმასაც, რომ მთელი დანაკარგის ლომის წილი, დაახლოებით 95 პროცენტი, დიდი კომპანიების (მათ შორის, შპს „ყაზტრანს-თბილისის“, შპს „სოკარ-ჯორჯია გაზის“, აგრეთვე სს „საქორ გაზის“) გამანაწილებელ ქსელებში.

— ახალი რეგულაცია შესაძლებლობას მისცემს აღნიშნულ დიდ კომპანიებს ასიათასობით ლარი დაზოგონ და, ამდენად, გამართული მენეჯმენტის პირობებში, ეს ფული ისევ მათ დარჩებათ, — ამბობს ბატონი გ. შონია. — ეს მომხმარებელთათვისაც კარგია, ვინაიდან ზარალის ანაზღაურება, ფაქტობრივად, ისევ მათ კისერზე გადადის.



რაც შეეხება გაზის სამომხმარებლო ტარიფის ცვლილებას, რომელიც მოსახლეობისთვის ყველაზე მეტადაა საინტერესო, სემეკის წარმომადგენლის თქმით, ამასთან დაკავშირებით გაზგამანაწილებელ კომპანიებს კომისიისთვის ჯერჯერობით არ მიუმართავთ. ასეთი მიმართვის ალბათობა, ლარის კურსის შემცირების პირობებში, სავსებით რეალურია, ვინაიდან კომპანიების ხარჯი საგრძნობლად გაზრდილია, რაც მრავალ კომპონენტს გულისხმობს. ამასთან დაკავშირებით, სემეკს გარკვეული მოსამზადებელი სამუშაო უკვე ჩატარებული აქვს, ხოლო, რაც შეეხება სამომხმარებლო ტარიფის ცვლილებას, მისი განხილვა კომპანიებისგან კონკრეტულ სატარიფო წინადადებების წარდგენისთანავე მოხდება.

ოთარ ტურაბელიძე

შვილები ვანდა, ფატი, ასმათ ნიჟარაძეები, სიძეები ედვარდ ზაალიშვილი, ვიტალი ხაზარაძე, ვიქტორ ყიფიანი, შვილიშვილები ლევან, გიორგი ზაალიშვილები, სოფო, ალექსანდრე ხაზარაძეები, თამარ, ნინო ვადაჭკორიები, რძლები ელისო სიჭინავა, ნინო თუხარელი, მარიამ ტაბუცაძე, დები დოდო, ნანა, ძმა ომარ ფანცხავები, დისწულები, ძმისწულები, შვილთაშვილები იუწყებიან

გულნაზი ასათიანი-ნიჟარაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4 IV, დაკრძალვა 5 IV 14 სთ. ქ. ქუთაისი, უზნაძის I ჩიხი №6.

მარინა კანდელაკი, გურამ გოგიაშვილი, ალეკო ასლანიშვილი, სპარტაკ ქობულია, რუსლან რუსია გულწრფელად თანაუგრძნობენ ქალბატონ ფატი ნიჟარაძეს ძვირფასი დედის და ბატონ ვიტალი ხაზარაძეს სიდედრის

გულნაზი ასათიანი-ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

დემურ გადელია ოჯახით თანაუგრძნობს ფატი და ვიტალი ხაზარაძეებს დედისა და სიდედრის

გულნაზი ასათიანი-ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ კალანდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ფატი და ვიტალი ხაზარაძეებს დედისა და სიდედრის

გულნაზი ასათიანი-ნიჟარაძის

გარდაცვალების გამო.

შვილები ზვიადი, გოჩა, რძლები ნინა, მანონი, შვილიშვილები ცაგო, გიორგი, ელენე, ქეთი, კირა, მძახლები მელორი, ციცინო ტყეშელაშვილები, გურამ კალანდაძე, კირა ანდრონიკაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ბენო (ბენიამინ) ყანჩაველი

პანაშვიდი 2, 3 IV, 17 სთ. მის: წყნეთი, ფიროსმანის ქ. 25. გამოსვენება 4 IV, ქაშუეთის ეკლესიიდან, 15 სთ.

გურამ კალანდაძე, ირინა გიგინეიშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საყვარელი მძახალი

ბენო (ბენიამინ) ყანჩაველი.

პანაშვიდი 2, 3 IV 17 სთ. მისამართი: წყნეთი, ფიროსმანის ქუჩა №25. გამოსვენება 4 IV, ქაშუეთის ეკლესიიდან, 15 სთ.

მაყვალა, თამაზ კალანდაძეები უსამძიმრებენ საყვარელ ძმისწულს ნინოს და მის მეუღლეს ზვიად ყანჩაველს მამისა და მამამთილის

ბენო (ბენიამინ) ყანჩაველის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეგობრები მარინე, ია რჩეულიშვილები, ნუგზარ წერეთელი, გურამ გეგეშიძე, ნოდარ ზედელაშვილი, რეზო ერისთავი, ზურაბ კიკნაძე, ლევან მალაზონია, ბესიკ ადეიშვილი, გურამ ფალავანდიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული ქალაქელი, თბილისის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარი, თბილისის საპატიო მოქალაქე

თეიმურაზ (თემო) ბერიძე

და გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ქართული ენციკლოპედიის ირ. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ენციკლოპედიის სამეცნიერო საბჭოს მთავარი კონსულტანტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

თეიმურაზ ბერიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქმე №1/130-2014

საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

27 მარტი 2015 წელი ქ. თბილისი

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

საარბიტრაჟო მოსარჩელე: შპს „KAPI”

საარბიტრაჟო მოპასუხე: მამუკა ოზბეტელაშვილი, მიხეილ ჯავაშვილი

დავის საგანი: სესხის თანხის გადახდის დაკისრება, გირავნობის საგნის რეალიზაცია

არბიტრაჟმა განიხილა საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2014 წლის 29 ოქტომბერს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „KAPI”-ს სარჩელი მოპასუხის მამუკა ოზბეტელაშვილისა და მიხეილ ჯავაშვილის მიმართ სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით.

საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მამუკა ოზბეტელაშვილს გაეგზავნა სარჩელში მითითებულ მისი რეგისტრაციის მისამართზე, თუმცა კორესპონდენცია მხარეს არ ჩაბარდა იმ მიზეზით, რომ ის მითითებულ მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მამუკა ოზბეტელაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოების სხდომის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა: დადგენილია, რომ მოპასუხე მამუკა ოზბეტელაშვილი რეგისტრაციისა და ამავდროულად მის უკანასკნელ საცხოვრებელ მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მამუკა ოზბეტელაშვილს (პ/ნ 40001006312) ეცნობოს, რომ 2015 წლის 24 აპრილს 11:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 69, დანიშნულია საარბიტრაჟო სხდომა შპს „KAPI”-ს სარჩელზე – სესხის თანხის გადახდის დაკისრებისა და გირავნობის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით მამუკა ოზბეტელაშვილისა და მიხეილ ჯავაშვილის მიმართ.

2. მამუკა ოზბეტელაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო სხდომაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

3. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

4. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მოსარჩელე მხარის ხარჯით.

5. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე

სანთელი

მარლენ მეტრეველი

ჩემო საყვარელო ძმაო მარლენ, შუაღამეა, არ მეძინება, ჩემი ფიქრები შენს გარშემო ტრიალებს. შენი წასვლის შემდეგ ჩემთვის გაზაფხული სხვანაირად იწყება, სული მტკივა, გული მტკივა, ყველაფერი მტკივა. შენი მონატრება უკვე გაუსაძლისი ხდება, რასაც დედას და მამას მონატრება დაემატა. რომ იცოდე, როგორ მენატრებით, როგორ მჭირდებით. თქვენ წაიღეთ ჩემი სული და გული, თქვენმა აქ არყოფნამ გამანადგურა, მხოლოდ ფიზიკურად ვარსებობ ამ ქვეყანაზე. მასულდგმულებს ის, რომ იზრდება შენი ოჯახი, იზრდება დავით მეტრეველის მონაგარი. შენი გიორგი მამაა, პატარა თამრიკო გვყავს, უკვე ოთხი შვილიშვილის ბაბუა ხარ. შენი დისშვილი მამუკა დაოჯახდა, ალიკა 3 შვილის მამაა.

ჩემო დიდო და მოურჩენელო ტკივილო, საყვარელო ძმაო მარლენ, გილოცავ 3 აპრილს. ეს ხომ შენი დაბადების დღეა. დაბადების დღეს მამა და დედაც მოგილოცავენ. დედა აფუსფუსდება, მამა ლამაზად გაგიღიმებს და მოგეფერება. ჩვენ კი მოვალთ თქვენს საფლავზე, აგინთებთ სანთლებს და ვთხოვთ უფალს, რომ ნათელში გვიმყოფოს თქვენი სულები და სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

შენი და ნინო

განცხადება

2015 წლის 27 მაისს, 14 საათზე, თბილისში, ვაჟა-ფშაველას 43/1, შპს „ელიტა 2“-ის დარბაზში ტარდება თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრება დღის წესრიგით:

1. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის 2014 წლის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგების შესახებ;
2. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წესდების შესახებ;
3. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის მეპაიეების მიერ კოოპერატივიდან გატანილი სესხის შესახებ;
4. სასამართლოში წარმოებული საქმეების მიმდინარეობის შესახებ;
5. თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის გამგეობის მიერ მიღებული დადგენილებების დამტკიცების შესახებ.

კოოპერატივის გამგეობა

რეკლამა 299-62-77; 568 82-09-84..

◎ თბილისის მერის საყურადღებოდ!

რატომ არ იწყებთ ახალი ესტაკადის მშენებლობას?

თბილისის მერის ბოლო არჩევნების წინ მრავალ საჯარო გამოსვლაში, შემდგომშიც, დედაქალაქის ახლანდელ თავკაცს დავით ნარმანიას არაერთხელ უთქვამს, რომ ქალაქთმშენებლობის ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანა პუშკინის ქუჩაზე ესტაკადის აშენებაა.

ამის გაკეთება თბილისის ცენტრის ავტომანქანების უაღრესად მომძლავრებული ნაკადისგან განსატვირთავად, დედაქალაქს, რომ იტყვიან, ჰაერივით სჭირდება. მოქალაქეთა და დედაქალაქის სტუმართა გადაადგილების დროის შემცირება და მეტი კომფორტით მგზავრობა, ისევე, როგორც, ზოგადად, მთელი ინფრასტრუქტურის წესრიგში მოყვანა, მერიის ერთ-ერთი უწინარესი ამოცანაა. ამის თაობაზე რედაქციას ჩვენი გაზეთის მკითხველები გამუდმებით მოგვმართავენ – ბევრნი შიშობენ, რომ, მრავალი სხვა დანაპირების მსგავსად, ეს დროულად გასაკეთებელი საქმეც, შესაძლოა, გაიწელოს, ვინაიდან, სამშენებლო სამუშაოები თითქოს აპრილში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ დასაწყისს (თუნდაც, მოსამზადებელ სამუშაოებს) პირი ჯერაც არ უჩანს.

ვასრულებთ მრავალრიცხოვან მკითხველთა თხოვნას და მოგმართავთ პირადად თქვენ, ბატონო დავით! იქნებ ეს მართლაცდა საშუარი საქმე პირად კონტროლზე აიყვანოთ, რომელიც დედაქალაქს ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს.

◎ იცოდით!

ალკოჰოლიზმი ციფრებსა და ფაქტებში

ალკოჰოლიზმი – ესაა ფსიქიკური დაავადება, რომელიც ჩნდება ეთილური სპირტისადმი მიდრეკილებით.

1952 წელს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ალკოჰოლიზმი დაამტკიცა,როგორც ავადმყოფობა.

სისხლში ალკოჰოლის 0,03-0,15 პროცენტი – თრობის მსუბუქი ხარისხია, დამლევი განიცდის ძალის მცირე ამაღლებას, მისი მოძრაობა ნაკლებად ზუსტი ხდება, ქცევა კი – უფრო შებორკილი.

0,15-0,3 პროცენტი – დათრობის საშუალო ხარისხია: იფანტება ყურადღება, მეტყველება ხდება ბუნდოვანი, გაუგებარი, მნიშვნელოვნად ქვეითდება ტკივილისა და ტემპერატურის შეგრძნება.

0,3-0,5 პროცენტი – დათრობის მძიმე ხარისხია, იწყება მოძრაობითი დამუხრუჭება და შემეცნების ღრმა დაქვეითება. შეიძლება მოხდეს სუნთქვისა და გულის მოქმედების დასუსტება, განვითარდეს კომა, დადგეს ლეტალური დასასრული.

სუფთა ალკოჰოლის 8 ლიტრი ერთ სულ მოსახლეზე წელიწადში – ესაა ზღვარი, რომელიც, ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით, ერის ჯანმრთელობას ემუქრება.

რუსეთში ყოველწლიურად 25-30 ათასი ადამიანი იღუპება უხარისხო ალკოჰოლური სასმელებისგან მოწამლვით.

ალკოჰოლიზაცია შემთხვევების 76 პროცენტში იწყება 20 წლამდე, მათ შორის 49 პროცენტში – ჯერ კიდევ მოზარდის ასაკში.

3-4-ჯერ უფრო ხშირად ვითარდება ლუდის ალკოჰოლიზმი, ვიდრე არყის ან ღვინისა. ობივატელის წარმოდგენით, იგი ნაკლებად მავნედ ითვლება, მაგრამ ალკოჰოლიზმი ყოველთვის ავადმყოფობაა იმისგან დამოუკიდებლად, თუ რომელმა სასმელმა გამოიწვია ის.

განვითარებულ ქვეყნებში მამაკაცების 17 პროცენტი და ქალების 8 პროცენტი მოიხმარენ ალკოჰოლს ყოველდღე.

შუა საუკუნეების ევროპაში მთავარ ლოთებად გერმანელები ითვლებოდნენ.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

მონა ლიზას ვლადიმერ პუტინის თვალები რომ ჰქონდეს, ასეთი ღიმილი ნამდვილად არ ექნებოდა!

* * *

ძაღლებმა ლაპარაკი რომ დაიწყონ, ადამიანი უკანასკნელ მეგობარსაც დაკარგავს.

* * *

– **ჟიჟიკია**, დამაგრძელებელი ხომ არა გაქვს?
– რეის დაგრძელება გინდა, ძამა?..

* * *

ჩვეულებრივი ადამიანებისგან სერგო თავისი ცხვირის ზომებით იყო გამორჩეული.

* * *

თუ მამაზეციერმა გონება დაგაკლო, ჩუმად მაინც ეგდე!

* * *

ცვლილებები მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ ყველაფერი უცვლელად დარჩეს.

სამსახურის შოვნასა და პირად ცხოვრებას ყოველთვის მოაწრებ, რესტორანი კი სამ საათში იხურება!

* * *

საკუთარი თავის რწმენა – ნებისმიერი წარმატებული კაცის გარდერობის მთავარი ატრიბუტია.

* * *

– **აბა**, მიპასუხე, პეტროვიჩ: შენ ხარ ძალიან წარმატებული დირექტორი, წლების მანძილზე კატორღელივით მუშაობ, შარშან ფირმა საგრძნობლად გააფართოვე, აქციონერთა კრებამ კი ხელფასი 10 პროცენტით შეგიკვეცა. რას გააკეთებ?

– ერთი მაგათი დედაც! რას ვიზამ და გადაბმულად სმას დავიწყებ!

– ჰოდა, აბა რაღას კითხულობ, სად იყო პუტინი, ერთი კვირა რომ არ ჩანდა?!.

◎ მსოფლიო და ჩვენ

„არა, მე შარლი არა ვარ“

კარლ-ფილიპ ორლეანელი, ანჟუს ჰერცოგი, საფრანგეთის დედოფლის ანა იაროსლავის ასულის მემკვიდრე უზრუნველი ცხოვრების წინააღმდეგია

პარიზში პირველსავე დღეებში საყოველთაო ისტორიის ტალღაზე, რომელიც დაკავშირებული იყო „კარიკატურულ უწესრიგობებთან“, მაინც აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც აბსოლუტურად ადეკვატური შეფასება მისცა მომხდარ მოვლენებს. ის აღმოჩნდა პრინცი კარლ ფილიპ ორლეანელი, ანჟუს ჰერცოგი, რომელიც ჰერცოგ ჰენრიხ VII-ის ძმისწულია. ფეისბუქში თავის გვერდზე პრინცმა კარლ ფილიპმა გადაჭრით განაცხადა თავის იდეოლოგიურ აზრთა სხვადასხვაობის შესახებ მათთან, ვინც გამოვიდა „მილიონების მარშზე“ ლოზუნგით: „შარლი –ეს მე ვარ!“„პატივი მივაგოთ მსხვეპლთა ხსოვნას –კი. ვიყოთ სოლიდურები „შარლი ებდოსთან“ – „არა“, – დაწერა მან.

აი, ამ განცხადების ტექსტი:

„მე წავალ საერთო ემოციური განწყობილების წინააღმდეგ, რომ მოვახდინო დისტანცირება მოძრაობასთან „შარლი – ეს მე ვარ“. არა, მე შარლი არა ვარ, იმიტომ, რომ არასოდეს მომწონდა ეს მანიქეისტური (რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც მე-3 საუკუნეში წარმოიშვა – რედ.) ჟურნალი. „შარლი ებდო“ – ესაა ვულგარული ფურცელი, რომელსაც ეზიზღება ყოველივე აზრი, საკუთარის გარდა, ეწევა პროვოკაციას აზრის გამოხატვის თავისუფლების საბაბით. „შარლი ებდო“ – ეს აგრესიული გამოცემაა, რომელიც თესავს ზიზღს რელიგიებს შორის და ამას იუმორს უწოდებს. „შარლ ებდო“ – ესაა ევროპული ათეისტური მემარცხენე საზოგადოების განსახიერება, რომელიც ანგრევს ავტორიტეტებს და თესავს მტრობას ადამიანებსა და ხალხებს შორის, განურჩევლად რასის, კანის ფერისა და რელიგიისა.

უარს ვაცხადებ, მივიღო მონაწილეობა ამ „რესპუბლიკურ წმინდა კავშირში“ „შარლისთვის“, ვინაიდან უბრალოდ არ მესმის, თუ რა უნდა დავიცვა. არ ვავლენ უპატივცემლობას და არ მინდა, შეურაცხყოფა მივაყენო დაღუპული მხატვრების ხსოვნას. არ მყოფნის სიტყვები, იმის გამოსახატავად, რაც ჟურნალის რედაქციაზე თავდასხმის შესახებ გავიგე. მე ვგმობ ამ ბარბაროსულ აქტს და გამოვხატავ ჩემს უღრმეს თანაგრძნობას დაღუპულთა ახლობლებისა და ნათესავების მიმართ. ამასთან მიმაჩნია უაზრობად მცდელობა, მიაღწიონ ეროვნულ ერთიანობას ასეთ საფუძველზე და ვგმობ იმ მოქალაქეთა პირფერობას, რომლებსაც ან არასოდეს წაუკითხავთ ეს იუმორისტული ყოველკვირეული გამოცემა, ანდა თავად აკრიტიკებდნენ მას.

პატივი მივაგოთ მსხვერპლთა ხსოვნას – კი. ვიყოთ სოლიდარულები „შარლი ებდოსთან“ – „არა“.

ბურბონების სამეფო დინასტიის მემკვიდრეები ქრისტიანული ტრადიციების მატარებლები რესპუბლიკურ, სეკულარიზებულ და ანტიკლერიკალურ ქვეყანაში და ეს ბევრ რამეს განმარტავს.

ინა სიმონოვა,
„ლიტერატურნაია გაზეტა“

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
568 82-09-84.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24